მიხეილ მცურავიშვილი

მაკა ხარძიანი

მაკა ხარძიანი

მიხეილ მცურავიშვილი

თბილისი
2024

ISBN

ფონდი „ქართული გალობა“ აგრძელებს გამოცემათა სერიას *„ქართული სიმღერის მოამაგე“*, რომელიც ფონდის მიერ დაჯილდოებულ ცნობილ ლოტბარებსა და მომღერალ-მგალობლებს ეძღვნება. წინამდებარე წიგნი სერიის ერთ-ერთი გამოცემაა და ცნობილი ქართველი მომღერლისა და ლოტბარის, მიხეილ მცურავიშვილის შემოქმედებით ცხოვრებას აცნობს მკითხველს. მონოგრაფია მიხეილ მცურავიშვილის 80 წლის იუბილეს ეძღვნება.
2015 წელს ფონდმა „ქართულმა გალობამ“ მიხეილ მცურავიშვილი, როგორც ღვაწლმოსილი ლოტბარი, ქართული სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა.

რედაქტორი **თამარ ასათიანი**

ყდის დიზაინერი **თამარ დევდარიანი**
ფოტომასალის დამუშავება **ლაშა ციხისელი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **მარიამ პოლტახიენტი**
ხმის რეჟისორები: **გიორგი ჯოლბორდი, მიხეილ კილოსანიძე**

პროექტის კოორდინატორი **ნინო რაზმაძე**

© საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობა“

© ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

ღვაწლმოსილი ლოტბარი

მიხეილ მცურავიშვილი

ქართული ხალხური სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაციაში
შეტანილი წვლილისათვის

22 ივნისი 2015 წელი

სრულიად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქი
ილია II

ფონდის დამფუძნებელი
ვანო ჩხარტიშვილი

შინაარსი

წინათქმა 7
დიდი მეჯვრისხეველი 9
სწავლა-განათლება 11
მომღერალი ჯარისკაცი 13
კვარტეტი „ფიროსმანი“ 14
„გორდელა“ 18
ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი 24
„ახ, მეზურნევ!“ 43
გორის ვაჟთა გუნდი 46
ანსამბლი „შარავანდი“ 51
ოჯახი 52
„ჩემი სიმღერა“ 53
დღემდე „ვაჟკაცი დაუწუნარი“ 54
ხალისით მიშა მცურავიშვილზე 55
მოგონებები 74
ბიბლიოგრაფია 101
დანართის ნუსხა 107
List of recordings 109
Summary 111

წინათქმა

მიხეილ მცურავიშვილი იმ იღბლიან ადამიანთა რიცხვშია, ვისაც ღმერთი განსაკუთრებული ნიჭით აჯილდოებს და იმთავითვე განუსაზღვრავს მოღვაწეობის სფეროს.

იგი ქართული ხალხური სიმღერების უბადლო მცოდნე, იშვიათი ტემბრის, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, განუმეორებელი მელიზმების დიდოსტატი, უსაზღვრო დიაპაზონისა და ბუნებრივად დაყენებული ვოკალური ხმის მქონე მომღერალია. ამავე დროს, ბატონი მიხეილი მრავალი თაობის აღმზრდელი, ღვაწლმოსილი ლოტბარი, დირიჟორი და პედაგოგია, რომელმაც თავისი განუმეორებელი სიტყვა თქვა და კვალი დაატყო როგორც ქართული, გლეხური, ისე ქალაქური ფოლკლორისა და საკომპოზიტორო ვოკალური მუსიკის შემსრულებლობას...

მიხეილ მცურავიშვილი 2022 წელს 80 წლის გახდა, თუმცა ასაკს ვერც ფიზიკურად, ვერც საუბარში და ვერც სიმღერაში შეატყობთ.

მიხეილ მცურავიშვილი ლეგენდარული „გორდელას“ სოლისტი იყო. მას მერე ათწლეულებმა განვლო, თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი მოღვაწეობა მხოლოდ ქართულ სიმღერას უკავშირდება. სადაც ხელი მიუწვდა, ყველგან ანსამბლი ან გუნდი შექმნა: ბავშვობაში – სკოლის გუნდი, სასწავლებელში სწავლისას – ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს, მოგვიანებით – სატრანსპორტო გაერთიანების გუნდი, ვაჭრობის კავშირის ვოკალური ჯგუფი, ჯარიდან დაბრუნების შემდეგ – კვარტეტი „ფიროსმანი“, 1970-ინი წლებიდან – ვაჟთა გუნდი „გორი“, მედუდუკეთა ანსამბლი, თბილისის 75-ე სკოლის ვაჟთა გუნდი, სახელმწიფო ანსამბლის ვოკალური ჯგუფი; 1980-იან წლებში – თელავის ვაჟთა გუნდი, ხელოვნების მუშაკთა სახლის ანსამბლი, 1990-იანებში – დავით აღმაშენებლის სახელობის ვაჟთა ეროვნული გუნდი „შარავანდი“, ფოლკლორული ანსამბლი „ილიონი“, თავდაცვის სამინისტროს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, თბილისის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი. შედეგად კი ასეულობით ახალგაზრდა აზიარა უნიკალურ ქართულ ხალხურ მემკვიდრეობას.

მიხეილ მცურავიშვილის სკოლაგამოვლილი მომღერლები, რომელთაგან უმრავლესობა დღეს ცნობილი ლოტბარია, მას „დიდ მაესტროდ“ მოიხსენიებენ და ეს მართლაც ასეა. მისი გამოცდილება გასათვალისწინებელია ყველასთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქართული ხალხური მუსიკის ბედი და ვინც მომავალი თაობების ქართულ მუსიკალურ ტრადიციებზე აღზრდითაა დაკავებული.

მიხეილ მცურავიშვილი თავისი საქმის პროფესიონალი, ერთგული მეგობარი, სტუმართმოყვარე მასპინძელი, ქართული ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, საოცარი მეხსიერების პატრონი, ენაწყლიანი, უაღრესად გულწრფელი და ალალი ადამიანი, ღირსეული ქართველია. ის ყველასთვის ბატონი მიშაა, ამიტომ, თქვენი ნებართვით, მეც ასე მოვიხსენიებ.

პირველ ინტერვიუზე ფოლკლორის ცენტრში შევხვდი. ახალგაზრდული, სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა, ჩვეული სითბოთი მომიკითხა, ქათინაურებით შემამკო და ერთი ამოსუნთქვით იმდენი რამ მიამბო, თანაც ისეთი შესაშური სიზუსტით, მივხვდი, მონოგრაფიის დასაწერად ბევრი შეხვედრა არ დაგვჭირდებოდა. ზედმიწევნით ზუსტად ჩამანიშნინა ყველა იმ ადამიანის სახელი და გვარი, ვისთანაც ოდესმე შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონია, ყველა მნიშვნელოვანი თარიღი (წლის, თვისა და დღის მითითებით) და ყველა მოვლენა, რომლებმაც მის ცხოვრებას საინტერესო კვალი დაატყო. საქმე მოგონებებზე რომ მიდგა, დანანებით თქვა, ჩემი თაობიდან თითქმის აღარავინ დარჩა, ვისაც ჩემზე სიტყვა ეთქმოდაო. თუმცა, საბედნიეროდ, ბატონი მიშას ნაღვაწი აგრძელებს სიცოცხლეს და უამრავი ადამიანისთვის მუდამ ძვირფასი იქნება მიშა მცურავიშვილი, როგორც დიდი მომღერალი, ლოტბარი, მეგობარი, კარგი ქართველი და, უბრალოდ, კეთილშობილი ადამიანი. ამას მონოგრაფიის ბო-

ლოს დართული მოგონებების სიმრავლეც ადასტურებს.

ბატონი მიშა უაღრესად განათლებული, მჭევრმეტყველი და საინტერესო რესპონდენტია. ამიტომ, იმედი მაქვს, მკითხველი არ დამძრახავს, მისი მონოგრაფიის ზოგიერთი მონაკვეთი პირველ პირში რომ დავტოვე...

დიდი მეჯვრისხეველი

მიხეილ მცურავიშვილი 1942 წელს გორში დაიბადა. მცურავიშვილთა გვარი ქართულ გვარ-სახელთა უძველესი წიაღიდან მოდის და ოდითგანვე გორს უკავშირდება. ბატონი მიშა „ძველგორელობით“ ძალიან ამაყობს. გამორჩეულად მშობლიური გრძნობები აკავშირებს მას დედულეთთან, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევთან, სადაც გაიზარდა. მეჯვრისხეველობა მისთვის განსაკუთრებულად საამაყოა, ვინაიდან ამ სოფელმა ქართულ კულტურას ისეთი ცნობილი ადამიანები გაუზარდა, როგორებიც არიან: ცნობილი მოცეკვავე, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის დამფუძნებელი ილიკო სუხიშვილი, გამოჩენილი საბავშვო მწერალი ანა ხახუტაშვილი, ქართველი ნოველისტი ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, ჟურნალ „ცისკრის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და მუდმივი ქართული პროფესიული თეატრის ფუძემდებელთაგანი მანანა ორბელიანი, ქართველი კომპოზიტორი და მომღერალი გიორგი ჩუბინიშვილი და სხვები.

მშობლების გაყრის გამო, ოთხი წლიდან მეჯვრისხევში, კვირიკაშვილების ოჯახში იზრდებოდა. მიშას დედამ – ნინო კვირიკაშვილმა შვილის მარტო გაზრდის გაბედული გადაწყვეტილება სრულიად შეგნებულად, ომიანობის უმძიმეს პირობებში მიიღო, რაც მაშინ გმირობის ტოლფასი იყო.

ნინო კვირიკაშვილი პროფესიით ფილოლოგი იყო. „სახლის კედელზე მიხეილ ჯავახიშვილის სურათი გვეკიდა, რომლის შემოქმედება დედას განსაკუთრებულად ეძვირფასებოდა. ის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა

მეზობელ სოფელ ბერშუეთში და 30 წლის განმავლობაში ყოველდღე ფეხით დადიოდა სახლიდან სკოლამდე. ეს მანძილი 16 კილომეტრი იყო. რომ ვიანგარიშე, აღმოჩნდა, დედას დაახლოებით 150 000 კილომეტრი აქვს ფეხით გავლილი“, – აღფრთოვანებით ჰყვება ბატონი მიშა.

დედა მისთვის ყველაზე საამაყო და სათაყვანებელი ადამიანი იყო: „კვირიკაშვილების გვარი გაჭირვებული ყოფილა. დედას 10 და-ძმა ჰყავდა, რომელთაგან მხოლოდ მას ჰქონდა 65-თუმნიანი ხელფასი და ამიტომ ყველაზე ის ზრუნავდა. მე დედისერთა ვიყავი, მაგრამ ჩემი ბიძაშვილ-დეიდაშვილები დედაჩემმა ჩემთან ერთად გაზარდა“.

მიშა სკოლაში ისე კარგად სწავლობდა, რომ თურმე როცა ამთავრებდა, ყველა მასწავლებელი თავის საგანს ურჩევდა მომავალ პროფესიად. საბოლოოდ, მაინც დედის კვალს გაჰყვა, ფილოლოგი გახდა და, რაც მთავარია, დედას ოცნება აუსრულა – სოფლელი ბიჭი თბილისში წამოვიდა, განათლება მიიღო და თავის საქმეში დიდ წარმატებას მიაღწია.

დედაზე მზრუნველობამ ბატონი მიშას ცხოვრების რამდენიმე საეტაპო გადაწყვეტილებაზეც იქონია გავლენა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობის დასასრულს მისი ხმითა და ნიჭით მოხიბლულმა რუსმა მუსიკოსებმა მიშას ანსამბლში მომღერალ-სოლისტად დარჩენა, პარალელურად კი მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელება და დასაქმება შესთავაზეს, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში დედას მარტო ვერ დატოვებდა ამ წინადადებაზე უარი თქვა და სამშობლოში დაბრუნდა.

მომღერლის ქალიშვილის, თამარ მცურავიშვილის თქმით, დედას სანახავად, რომელიც ბოლო დღეებამდე მეჯვრისხევში ცხოვრობდა, ბატონი მიშა თითქმის ყოველდღე ჩადიოდა; „გარდაცვლილი, 92 წლის დედა კი 69 წლის კაცმა ისე დაიტირა, როგორც პატარა ბიჭმა...“

სწავლა-განათლება

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1959 წელს, მიხეილ მცურავიშვილმა თსუს ფილოლოგიის ფაკულტეტსა და სერგო ზაქარიაძისსახელობისკულტსაგანმანათლებლოსასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე ერთდროულად ჩააბარა.

ფილოლოგიის ფაკულტეტზე მასთან ერთად სწავლობდნენ ვახტანგ როდონაია, ვახტანგ გოგუაძე, ელიზბარ ჯაველიძე, გურამ შარაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, რევაზ სირაძე, რომლებთან მეგობრობაც ბატონ მიშას მთელი ცხოვრება არ შეუწყვეტია. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ვახტანგ როდონაიასთან, რომელმაც მეჯვრისხევიდან ახალი ჩამოსული ბიჭი მონათლა. „ახლა ვახტანგი რომ ცოცხალი იყოს, იმდენს მოგიყვებოდა ჩემზე“, – დიდი გულისწყვეტით მითხრა ბატონმა მიშამ პირველივე შეხვედრაზე.

მეგობრებში არანაკლებ გაუმართლა კულტსაგანმანათ-ლებლო სასწავლებელშიც, სადაც ქართული მუსიკალური ფოლკლორის მომავალ მოამაგეებთან ერთად სწავლობდა. მათ შორის იყვნენ ანზორ ერქომაიშვილი, ისლამ ფილფანი, ომარ კელაპტრიშვილი, თამაზ ანდღულაძე, რამინ მიქაბერიძე, ბადრი თოიძე, ჯუმბერ ყოლბაია, გურამ იაშვილი და სხვ. ამ წლებმა დიდი მეგობრობა, სიყვარული და მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა თითოეულ მათგანს.

ჯარში გაწვევამდე, ჯერ კიდევ ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას, მიშა მცურავიშვილის ნიჭი შეამჩნია ვახტანგ ფა-ლიაშვილმა, რომელიც მაშინ უნივერსიტეტში სიმფონიურ ორ-კესტრს ხელმძღვანელობდა. ბატონი მიშა იგონებს, როგორც ეხვეწებოდა ვახტანგ ფალიაშვილი, უნიკალური ხმისა და მუ-სიკალური სმენის პატრონს, ფილოლოგიურის მიტოვებას და კონსერვატორიაში ჩაბარებას.

თუმცა დედის პროფესია არ მიუტოვებია, ჯარიდან დაბ-რუნებულმა ჯერ ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლა დაასრულა, შემდეგ კი კონსერვატორიაში ჩააბარა. არჩევანი აქაც მაც-დუნებელი დახვდა: ნოდარ და დავით ანდღულაძეები მას

ვოკალისტის ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მაინც საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე ჩააბარა (1967 წ.) და ვახტანგ ფალიაშვილის ხელმძღვანელობით დაამთავრა (1972 წ.).

„კონსერვატორიაში შესვლისას მინდოდა, გავმხდარიყავი ხალხური სიმღერის ლოტბარი, დირიჟორი. ამიტომ ჩავაბარე საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე. მიმაჩნია, რომ ჩემი არჩევანი სწორი გამოდგა. ვიღაცამ ხომ უნდა გადასცეს ახალგაზრდა თაობას ის ძველი, ეროვნული მონაპოვარი, რაც ხალხის წიაღშია. ხალხური შემოქმედება ადამიანის ყოფიერების, ცხოვრების მოდელია. რაც შეეხება სადირიჟორო ტექნიკას, რასაც კონსერვატორიაში დავეუფლე, ის მხოლოდ ჟესტების სისტემა როდი აღმოჩნდა, მისი საშუალებით ახერხებ ნაწარმოების შინაარსის გახსნას, გადმოცემას. ანსამბლის მაღალი პროფესიონალიზმი სწორედ დირიჟორზეა დამოკიდებული. დღეს ბევრი მითქმა-მოთქმაა იმის თაობაზე, რომ დირიჟორი აღარ არის საჭირო, ჩემი აზრით კი, ანსამბლს აუცილებლად სჭირდება დირიჟორი, რადგან ქართული ხალხური სიმღერა კლასიკური ნაწარმოების დონეზეა და მას წარმმართველი აუცილებლად უნდა ჰყავდეს“, – თავის აზრს გვიზიარებს ბატონი მიშა.

კითხვაზე, თუ ვისთან შემოქმედებითი ურთიერთობით ჩამოყალიბდა პროფესიონალ მუსიკოსად, ბატონმა მიშამ მიპასუხა: „კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში დავუახლოვდი ჩვენი დროის უდიდეს მუსიკოსებს. მათ შორის იყო ცნობილი მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე, რომელსაც განსაკუთრებული მღელვარებითა და მადლიერებით ვიხსენებ. შეუძლებელი იყო მისი ტემპერამენტისა და შთაგონების მიღმა დარჩენა. ეს იყო ადამიანი, ვისაც შეეძლო, გაეხარა სხვისი სიხარულით. მქონდა ასევე ბედნიერება, ვყოფილიყავი ცნობილი ხალხური სიმღერის ლოტბარების – ვანო მჭედლიშვილის, ვასო მახარაძის, აკაკი ანდრიაშვილის მოწაფე. ამ უკანასკნელმა მაზიარა პირველად მუსიკის სანოტო სისტემას კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში. მასთან ურთიერთობისას გავიარე საშემსრულებლო კულტურის ძალზე მნიშვნელოვანი სკოლა“.

მომღერალი ჯარისკაცი

1963 წელს კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლისა და თსუს ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მიშა მცურავიშვილი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

თავიდან მინსკში, ბელარუსის სამხედრო ოლქის ანსამბლში მოხვდა.

ორი თვის შემდეგ მინსკში ჩავიდა ალექსანდროვის სახელობის წითელდროშოვანი ანსამბლი, რომელსაც გუნდში პირველი ტენორები სჭირდებოდა. „ჩემი ანსამბლის წევრები შემიჩნდნენ, შენც გაესინჯეო. გადავწყვიტე, მეცადა ბედი. მოსმენა სასტუმრო „ინტურისტში“ შედგა. რომ მივედი, ვოკალისტების რიგი დამხვდა. ვინც გამოდიოდა, ყველა უკმაყოფილო იყო, არ მოვეწონეო. მეთხუთმეტე ვიყავი, აკომპანემენტს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ეროხინი მიწევდა. ვიმღერე ლიონელის არია ფლოტოვის ოპერიდან „მარტა“ და ლაღიძის „სიმღერა სამშობლოზე“. ალექსანდროვს მოეწონა ჩემი ხმა და მკითხა, ნოტები თუ იციო. რომ გაიგო, მუსიკალური სასწავლებლიდან ვიყავი წამოყვანილი, ძალიან გაუხარდა“. მეორე დღეს კი მოსკოვიდან ბრძანება მოსულა, რომ მიხეილ მცურავიშვილი მიღებული იყო ალექსანდროვის წითელდროშოვან ანსამბლში და მინსკიდან მოსკოვში გადაიყვანეს.

„შემიძლია ვთქვა, რომ ამ ანსამბლში სიმღერამ, როგორც მუსიკოსს, უდიდესი გამოცდილება შემძინა. ანაზღაურებაც საკმაოდ სოლიდური მქონდა – 100 მანეთი, როცა რიგით ჯარისკაცს 3 მანეთს უხდიდნენ. გარდა ამისა, ალექსანდროვის ანსამბლთან ერთად საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა, ჩინეთი და ევროპის ყველა ის ქვეყანა მოვიარე, სადაც საბჭოთა ჯარები იდგა: პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ფინეთი. გეგმის მიხედვით, წელიწადში 200 კონცერტი უნდა ჩაგვეტარებინა, ამიტომ ანსამბლი იყოფოდა ხოლმე და თითქმის ყოველდღე მართავდა კონცერტს.

სამხედრო სამსახურის ბოლოს მიშა მცურავიშვილს მოს-

კოვში დარჩენა და კარიერის გაგრძელება შესთავაზეს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან უარი თქვა ამ წინადადებაზე და საქართველოში დაბრუნდა. თბილისში დაბრუნება ვადაზე რამდენიმე თვით ადრე მოუხდა, ამიტომ გზის თანხა თავად ალექსანდროვს მიუცია და უთქვამს: „მე ვიცი, რომ შენ იქ პოპულარული გახდები, პირობა უნდა მომცე, მოსკოვში რომ ჩამოხვალ, აუცილებლად მნახავო“. „პირობა შევასრულე, რამდენჯერაც მოსკოვში ჩავედი, დედაჩემის გატანებული ქართული საჭმელი, ღვინო და არაყი ჩავიტანე და მოვილხინეთ“, – იხსენებს მიშა მცურავიშვილი.

კვარტეტი „ფიროსმანი“

1959 წელს საქართველოს სახელმწიფო კაპელის დირიჟორმა გურამ ბაქრაძემ შექმნა სახელმწიფო ფილარმონიის ვაჟთა ვოკალური კვარტეტი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: კომპოზიტორი მამია ხატელიშვილი, საოპერო მომღერალი ნიკოლოზ (კოლია) კაპანაძე, მსახიობი, ჟურ-ნალისტი და მომღერალი ომარ ჩიტაია და ვოკალისტი არდაშინ ავიცბა. გურამ ბაქრაძის წასვლის შემდეგ, დაახლოებით ერთ წელიწადში, კვარტეტის ხელმძღვანელი მამია ხატელიშვილი გახდა.

„როგორც მოქალაქე და არა სამხედრო პირი, ალექსანდროვის ანსამბლში მღეროდა ოთარ ხატელიშვილი – ცნობილი კომპოზიტორის, მამია ხატელიშვილის ძმა, მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებული, ცნობილი რუსი მომღერლის, მარკ რეიზენის მოსწავლე, ნიჭიერი ადამიანი და არაჩვეულებრივი ბასბარიტონი. მოსკოვიდან რომ წამოვედი, სწორედ იმ პერიოდში მამია ხატელიშვილის კვარტეტიდან არდაშინ ავიცბა, რომელიც პირველ ხმას ამბობდა, გორკის თეატრში სოლისტად მიიწვიეს. მამიას ძმისთვის შეუჩივლია, ავიცბა წავიდა და არ ვიცი, ვინ ავიყვანოო. ოთარს უთქვამს, აქედან ისეთი პირველი ხმა წამოვიდა, აუცილებლად მოძებნე, სანამ ვინმემ დაგასწროო.

მაშინ სტუდქალაქში ვცხოვრობდი და იქ მოვიდა მამია. ძალიან მომწონდა მისი „კარგი ხარ, გოგოვ“. მაშინ გავიგე, რომ ოთარ ხატელიშვილი მისი ძმა ყოფილა და რეკომენდაციაც მას გაუწევია. ლაღიძის „კარკუჩით წამაიყვანეს“ რომ ვუმღერე, აღფრთოვანდა“, – გვიამბობს ბატონი მიშა.

ერთ წელიწადში, 1965 წელს, მოსკოვის ესტრადის თეატრში, საბჭოთა სიმღერის საერთაშორისო კონკურსზე, სადაც ორკესტრს მელიქ ფაშაევი დირიჟორობდა, მამია ხატელიშვილის ვაჟთა ვოკალური კვარტეტი დიდი წარმატებით გამოვიდა და გაიმარჯვა.

მიუხედავად ხანმოკლე ურთიერთობისა, ბატონი მიშა დიდი პატივისცემით იხსენებს მამია ხატელიშვილს: „მისი დონის მუსიკოსი ქართველებს ბევრი არ გვყოლია. გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი კომპოზიტორი იყო, გაორკესტრების დიდი ოსტატობითაც მაოცებდა“.

1966 წელს, კვარტეტიდან მამია ხატელიშვილის წასვლის შემდეგ, ხელმძღვანელობა მიშა მცურავიშვილმა ითავა. სწორედ ამ დროს დაერქვა ანსამბლს სახელად „ფიროსმანი“, რადგან არჩილ ჩიმაკაძის ეს სიმღერა პირველად სწორედ ამ კვარტეტმა შეასრულა ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით. ეს შესრულება მაშინვე ქართული ვოკალური მუსიკის „ოქროს ფონდის“ საკუთრებად იქცა.

იგივე შეიძლება ითქვას სიმღერაზე „ანანურს ციხევ ნაგებო“, რომელიც 1968 წელსაა ჩაწერილი. ამ ჩანაწერში მიშა მცურავიშვილის სოლო, მართლაც, განუმეორებელია! „მიშას ნამღერი „ანანურს ციხევ ნაგებო“ ისეთი შედევრია, მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა, მიხეილ მცურავიშვილი მხოლოდ ამ სიმღერითაც შევიდოდა ისტორიაში. ვინ არ იმღერა ეს სიმღერა, მაგრამ ვერავინ მივიდა მის დონემდე“, – ეს შეფასება ბატონი მიშას მეგობარს, ანსამბლ „ერისიონის“ სოლისტს, ნუგზარ კურცხალიას ეკუთვნის.

„ანანურს ციხევ ნაგებო“ არჩილ ჩიმაკაძის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. აღსანიშნავია, რომ სიმღერა თავდაპირველად კუპლეტურ ფორმაში დაწერილა, საფორტე-

პიანო თანხლებით, კვარტეტ „ფიროსმანისთვის“ კი არჩილ ჩიმაკაძემ მას რონდოს ფორმა მისცა და გააორკესტრა. ეს არაჩვეულებრივი გაორკესტრება ცალკე საუბრის თემაა. ბატონი მიშა განსაკუთრებული აღფრთოვანებით აღნიშნავს რეფრენში გამოყენებულ ერთმანეთზე დაშენებულ 4 სეკუნდას, რაც საკმაოდ ექსპერიმენტული გადაწყვეტილება იყო კომპოზიტორის მხრიდან. თურმე არაერთხელ უთხოვიათ არჩილ ჩიმაკაძისთვის ამ „კლასტერის“ „გაკეთილხმოვანება“, მაგრამ კომპოზიტორს არავის აზრი არ გაუთვალისწინებია. „აი, ნახავთ, როგორ გაიჟღერებსო“, – ირწმუნებოდა და, მართლაც, სწორედ ამ რეფრენებმა შესძინა სიმღერას გამორჩეული კოლორიტი“, – მითხრა ბატონმა მიშამ. მე კი დავძენ, რომ მიხეილ მცურავიშვილის ხმამ ეს სიმღერა ნამდვილ „ჰიტად“ აქცია. მიშას სიმღერით აღტაცებულ არჩილ ჩიმაკაძეს უთქვამს, დიდხანს იმღერე და იცოცხლე, რომ ჩემმა სიმღერამაც შენთან ერთად იცოცხლოსო.

მამია ხატელიშვილის წასვლის შემდეგ კვარტეტის მეოთხე წევრი არაერთხელ შეიცვალა. სიმღერის „ანანურს ციხევ ნაგებო“ ჩასაწერად საგანგებოდ მოიწვიეს ვოკალისტი გუბაზ ბეჟუაშვილი. ამის შემდეგ, მცირე ხნით, კვარტეტში ჯერ ჯემალ ბაღაშვილი მიიღეს, შემდეგ – გოვენ ჭეიშვილი.

1969 წელს იმის გამო, რომ მიშა მცურავიშვილი „გორდელადან“ თითქმის გამუდმებულ გასტროლებზე იმყოფებოდა, კვარტეტი დროებით დაიშალა. თუმცა 1972 წელს, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, ბიჭები კვლავ შეიკრიბნენ და ისევ მიშა მცურავიშვილს სთხოვეს ხელმძღვანელობა, ამჯერად კვარტეტის მეოთხე წევრად ცნობილი საოპერო მომღერალი თენგიზ ზაალიშვილი (ტენორი, მეორე ხმა) მიიღეს.

1985 წელი კვარტეტ „ფიროსმანის“ შემოქმედებით ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული აღმოჩნდა. მან ჩაატარა სოლო კონცერტი „ფოლკლორის თეატრში“ და იმოგზაურა ორ ქვეყანაში: ესპანეთსა და აშშ-ში.

„აშშ-ში მოგზაურობა საზოგადოება „ფრენდშიფ ფორსის“

(Friendship Force) ეგიდით მოეწყო. საცხოვრებლად ამერიკულ ოჯახებში გაგვანაწილეს. მე მოვხვდი კალიფორნიის შტატის ცენტრალური ბანკის მმართველის ოჯახში, რომელსაც დავალებული ჰქონია, ჩემი ნებისმიერი თხოვნა შეესრულებინა – რასაც ხელს დავადებდი, ყველაფერი ეყიდა. ეს რომ გავიგე, რა თქმა უნდა, როგორც ქართველებმა ვიცით, თავი შორს დავიჭირე, რითაც ძალიან გავაკვირვე. მოგვიანებით გავიგე, ზოგი სტუმარი მანქანასაც კი ითხოვდა თურმე და მივხვდი, რამ გააოცა. ერთ საღამოს დიდ სავაჭრო ცენტრში წაგვიყვანეს. მე ელექტროწვერსაპარსების თვალიერებაში ვიყავი გართული, როცა მასპინძელი დამადგა თავზე. რომ დაინახა, რამ დამაინტერესა, გამყიდველს უთხრა, ყველაზე ძვირფასი, რაც გაქვთ, ის მოგვეცითო... 400 დოლარი გადაიხადა. არ დაიჯერებ და, იმ წვერსაპარსმა 30 წელი იმუშავა“, - იხსენებს ბატონი მიშა.

ამ მოგზაურობაში კვარტეტს კიდევ ერთი დასამახსოვრებელი ამბავი გადახდა თავს: „ამერიკიდან გამოცილებისას ჯორჯიის შტატის გუბერნატორმა კვარტეტის წევრებს ჯორჯიის შტატის საპატიო მოქალაქეობა მოგვანიჭა. ამ მოვლენას შეესწრნენ გოლფის ჩემპიონატზე დასასწრებად ჩამოსული აშშ-ის ექსპრეზიდენტი ჯონ კარტერი და მისი მეუღლე, მათ თითოეულ ჩვენგანთან ფოტო გადაიღეს“.

1987 წელს კვარტეტ „ფიროსმანს“ ერთი წევრი გამოაკლდა – გარდაიცვალა ნიკოლოზ კაპანაძე. თუმცა ბიჭებმა იხტიბარი არ გაიტეხეს, ნოდარ მეძმარიაშვილი შემოიმატეს და სიმღერა გააგრძელეს.

1990 კვარტეტმა ნორვეგიაში იმოგზაურა. ეს იყო პირველი ქართული ანსამბლი, რომელიც ამ ქვეყანაში მიიწვიეს. 1991 წელს კი „ფიროსმანმა“ კიდევ ერთხელ „დალაშქრა“ ამერიკის შეერთებული შტატები.

1992 წელს თენგიზ ზაალიშვილი ცნობილმა საოპერო მომღერალმა თემურ გუგუშვილმა ჩაანაცვლა, თუმცა ცოტა ხანში ომარ ჩიტაია ჯანსუღ კახიძემ საოპერო დასის ხელმძღვანელად დანიშნა, ნოდარ მეძმარიაშვილი გარდაიცვალა და 1995 წელს „ფიროსმანიც“ დაიშალა.

ამ კვარტეტმა ქართულ ვოკალურ მუსიკას ისეთი ისტორიული ჩანაწერები აჩუქა, როგორებიცაა: „ჩახედე მეგობარს თვალებში“, „იავნანა“, „ფიროსმანი“, „დოლური“, „ანანურს ციხევ ნაგებო“, „კარგი ხარ, გოგოვ“, „გამოღმით მე ვარ, გაღმით – შენ“, „ჩემი მხარე“ და მრავალი სხვ.

„გორდელა“

1965 წელს სახელმწიფო ფილარმონიის ვაჟთა ვოკალურმა კვარტეტმა, მამია ხატელიშვილის ხელმძღვანელობით, საბჭოთა სიმღერის საერთაშორისო კონკურსის პარალელურად მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის 800 წლის საიუბილეო დეკადაში, რომლის ფარგლებში ქართული მუსიკის კონცერტები რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ჩატარდა. დეკადის დასკვნით კონცერტს, რომელიც მოსკოვის დიდ თეატრში გაიმართა, ქართული დელეგაცია ესწრებოდა. დელეგაციის წევრებს შორის იყო კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი. „კონცერტის მერე ის სცენაზე ამოვიდა, მომესალმა და მკითხა: ბიჭო, რა კარგი ხმა გაქვს, სწავლობ სადმე? რომ გაიგო, კონსერვატორიაში ვსწავლობდი, ალბათ ვოკალურზე, ანდღულაძეებთანო, – მითხრა. არა, ვახტანგ ფალიაშვილთან, საგუნდო-სადირიჟოროზე-მეთქი. შუბლი შეიკრა და თავის მოადგილეს, კაკო დვალიშვილს უთხრა, ეს ბიჭი ხვალვე „გორდელაში“ მოიყვანეთ, კონსერვატორიის სტუდენტია და „გორდელაში“ უნდა მღეროდესო.

ანსამბლი „გორდელა“ 1961 წელს კონსერვატორიის სტუდენტებმა – გომარ სიხარულიძემ, თემურ ქევხიშვილმა, თამაზ ანდღულაძემ, ბადრი თოიძემ, ანზორ ერქომაიშვილმა, აბიკო დანელიანმა, თამაზ პავლოვმა და სერგო ჟვანიამ ჩამოაყალიბეს. კომპოზიტორი სერგო ჟვანია მალევე წავიდა ანსამბლიდან და მისი ადგილი კუკური ჭოხონელიძემ დაიკავა. ანსამბლმა შესანიშნავი საშემსრულებლო ოსტატობითა და ინდივიდუალური ხელწერით მალე მოიპოვა პოპულარობა და მსმენელის სიყვარული. სახელი „გორდელა“ მას მოკლე

გურული ნადურის შესრულების შემდეგ აბიკო დანელიანის ინიციატივითა და არტემ ერქომაიშვილის „კურთხევით“ ეწოდა.

1967 წელს კუკური ჭოხონელიძე ანსამბლიდან წავიდა. იგი მიშა მცურავიშვილმა შეცვალა. ამ ამბავს ბატონი მიშა ასე იხსენებს: „კუკური იმ დროს სამეცნიერო საქმიანობითაც იყო დაკავებული და „გორდელადან“ წასვლას აპირებდა. მოსკოვიდან რომ ჩამოვედი, მითხრა, შენი ადგილი ნამდვილად „გორდელაშიაო“ და გზა დამილოცა. ამის შემდეგ კუკური ანსამბლიდან წავიდა, თუმცა ყოველთვის ვგრძნობდი მის მზრუნველობასა და ხელშეწყობას. კუკური უდიდესი პიროვნება იყო!“

1967-69 წლებში მიშა მცურავიშვილი ერთდროულად კონსერვატორიაშიც სწავლობდა, „ფიროსმანსაც“ ხელმძღვანელობდა, „გორდელაშიც“ მღეროდა და ორივე ანსამბლიდან ხშირად დადიოდა გასტროლზე. ამის გამო, საკმაოდ დატვირთული იყო, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, კონსერვატორიაში სწავლა უნივერსიტეტში მიღებულმა განათლებამ საკმაოდ გაუადვილა: „რაკი ფილოლოგიურზე სწავლისას ზოგადი საგნები გავლილი მქონდა, მხოლოდ სპეციალობის საგნებს ვესწრებოდი და იოლად გამოვდიოდი“. ამისთვის განსაკუთრებით ემადლიერებოდა სულხან ნასიძეს, რომელიც იმ დროს ფაკულტეტის დეკანი იყო.

1968 წელს ანზორ ერქომაიშვილმა ანსამბლი „რუსთავი“ ჩამოაყალიბა და „გორდელა“ დატოვა. სხვათა შორის, მას „რუსთავში“ მიშა მცურავიშვილის წაყვანაც უნდოდა, მაგრამ ოთარ თაქთაქიშვილს პირადად უთხოვია, ყველაფერში ხელს შეგიწყობ, ოღონდ მიშა „გორდელაში“ დატოვეო.

„ვიცოდი, ვჭირდებოდი, მაგრამ ანზორი ყველა საქმეში, დიდ ნიჭთან ერთად, გამოირჩეოდა ფანტასტიკური ტოლერანტობით და ამ შემთხვევაშიც დათმობა ამჯობინა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენ არასდროს შეგვიწყვეტია შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა. ის ყველაფერში გამორჩეული იყო: ლოტბარი, მომღერალი, მუსიკოლოგი, ფოლკლორისტი, კომპოზიტორი, პედაგოგი. რაც მთავარია,

ადამიანი, რომლისთვისაც არ არსებობდა მიუღებელი პერსონა; ყველას ერთნაირად, გულით უნაწილებდა სითბოსა და სიყვარულს. ყოველთვის ვგრძნობდი ანზორის მხარდაჭერას, თანადგომას, რასაც სიტყვითაც გამოხატავდა და საქმითაც. „მართვეს“ კონსულტანტი სწორედ ანზორის რეკომენდაციით გავხდი. ჩემი აუდიოალბომისა და გორის ვაჟთა გუნდის კომპაქტდისკებიც მისი ინიციატივით გამოიცა. მისთვის არ არსებობდა სხვა საქმე, ქართული სიმღერა-გალობის გარდა. ვგრძნობდი, რომ სწორედ ამ ნიშნით აფასებდა ჩემს შემოქმედებასაც და ამით ბედნიერი ვიყავი“.

მართალია, „რუსთავის“ შემადგენლობაში არასდროს ყოფილა, მაგრამ ამ ანსამბლთან ერთად მიშა მცურავიშვილს არაერთხელ უმღერია. მაგალითად, 1995 წელს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა რევაზ ლაღიძის საღამო, რომელზეც მიხეილ მცურავიშვილმა კომპოზიტორის უკვდავი სიმღერა „კარკუჩით წამაიყვანეს“ (ფილმიდან „ხევისბერი გოჩა“) სწორედ ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად შეასრულა. ეს სიმღერა ბევრს უმღერია, მაგრამ ბატონი მიშას შესრულება ამჯერადაც უკონკურენტო იყო, რაშიც ყველა დამეთანხმება, ვინც ამ საღამოს დაესწრო ან მისი ჩანაწერი მოისმინა.

დავუბრუნდეთ „გორდელას“. 1969 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდა ქართული კულტურისა და მეცნიერების დღეები. ღონისძიებაზე მიწვეული იყო რესპუბლიკის ყველა შემოქმედებითი კოლექტივი – უმაღლესი კლასის მუსიკოს-შემსრულებლები, ცნობილი მეცნიერები, მსახიობები, მწერლები და, ფაქტობრივად, ყველა დარგის ცნობილი მოღვაწეები. მათ შორის იყო ანსამბლი „გორდელა“, ანსამბლი „ორერა“ ნანი ბრეგვაძესთან ერთად, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და სუხიშვილების ქორეოგრაფიული ანსამბლი.

ბატონი მიშას ფოტოარქივის თვალიერებისას ფოტოს გადავაწყდი. უკან „გორდელა“ დგას, წინ კი მიხეილ მცურავიშვილი ლადო გუდიაშვილს ესაუბრება. როგორც აღმოჩნდა, ზემოხსენებული ღონისძიების ფარგლებში დრეზდენის გა-

ლერეაში ლადო გუდიაშვილის გამოფენაც გამართულა.

1974 წელს „გორდელამ“ სახელმწიფო ანსამბლთან ერთად აშშ-ში იმოგზაურა. ამ გასტროლს ბატონი მიშა ასე იხსენებს:

„საქართველოში ჩამოვიდა ამერიკელი იმპრესარიო, რუზველტის სიძე – ჯორჯ ნიფელდი, რომელსაც ანსამბლები უნდა შეერჩია გასტროლისთვის. ჯვრის მონასტერში „გორდელას“ საგალობლები და სიმღერები რომ მოისმინა, ისე მოეწონა, უყოყმანოდ გადაწყვიტა სახელმწიფო ანსამბლთან ერთად ჩვენი წაყვანა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი, იმ დროისთვის ალბათ უპრეცედენტო, 4-თვიანი გასტროლი აშშ-ში. „გორდელამ“ თითქმის ყველა შტატში ჩაატარა კონცერტი და არნახული აღიარება მოიპოვა“.

სხვათა შორის, მთელი ამ გასტროლის განმავლობაში ბატონი მიშა წერდა დღიურებს, რომლებშიც ჩანს, როგორ ენატრება სამშობლო, ოჯახი, როგორ ეამაყება ქართველობა და ქართული სიმღერის შესრულება უცხოელი მსმენელის წინაშე...

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ გასტროლზე სახელმწიფო ანსამბლის მიერ ნამღერი „ჩაკრულო“ გაიგზავნა 1977 წელს კოსმოსში. „როსტომ საგინაშვილი რომ დაიწყებდა, ილია ზაქაიძე „შეუნთებდა“. ის განგებ ოდნავ აამაღლებდა მოდულაციის დროს, „ჰაი, ჰაა!“ – კულმინაციურ მომენტში, ილო სოლის მაგივრად სვამდა ლა ბემოლს, მაგრამ ისეთი მაღალი ლა ბემოლი იყო, ლა ან სი ბემოლი გეგონებოდა. ეჭირა და ეჭირა, იმდენ ხანს, რომ გაოგნებული ხალხი ფეხზე დგებოდა და როგორც კი დაბლა ჩამოვიდოდა, ისეთი ტაშის გრიალი იწყებოდა, ინგრეოდა დარბაზი. სწორედ იქ ჩაწერილი „ჩაკრულო“ მოგზაურობს დღესაც გალაქტიკაში“, – ჰყვება ბატონი მიშა.

„გორდელამ“ სამჯერ იმოგზაურა საფრანგეთში.

პირველი გასტროლი 1970 წელს შედგა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის დღეებზე სუხიშვილების მცირე ჯგუფთან, „ორერასა“ და ნანი ბრეგვაძესთან ერთად. ოფიციალურ დელეგაციაში იყო სერგო ზაქარიაძე, რომელიც რეზო ჩხეიძის ფილმ „ჯარისკაცის მამას“ წარადგენდა. „ეს

გასტროლი ძალიან ემოციური აღმოჩნდა ჩვენთვის, რადგან იქ ქართველი ემიგრანტები დაგვხვდნენ. საფრანგეთის თითქმის ყველა ქალაქში ჩავატარეთ კონცერტი: გრენობლში, ვალენსში, ნიცაში, ტულონში, ბორდოში, მარსელში, მონპელიეში, სეტში, პერპინიანში, შამპინში, ლემანში, ლილიში... და არცერთ კონცერტს ანშლაგის გარეშე არ ჩაუვლია", – გვიყვება ბატონი მიშა.

„უმაღლეს კლასს ველოდით, მაგრამ ამასაც გადააჭარბეს, ასეთი რამ სრულიად მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო", – წერდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის გენერალური დირექტორი აპოლონ (გუგული) ყიფიანი. „ქართულმა ხელოვნებამ მოხიბლა საფრანგეთი!" – ეს კი საფრანგეთში საბჭოთა კავშირის საელჩოს მდივნის შეფასებაა.

მომდევნო, 1971 და 1972 წლებში „გორდელა" მიწვეული იყო პარიზში, კომუნისტური გაზეთის „ლ'ჰუმანიტე" (L'Humanité) დღესასწაულზე, რომელიც იმართებოდა ღია ცის ქვეშ, ელისეს მინდვრებზე და დაახლოებით 400000 კაცი ესწრებოდა!

„გორდელას" პოპულარობას საზღვარი არ ჰქონდა. მას იცნობდნენ გერმანიის ორივე რესპუბლიკაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, დანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, იუგოსლავიაში, საბერძნეთში, აშშ-ში, კანადაში, სადაც ანსამბლის კონცერტები არნახული წარმატებითა და სრული ანშლაგით მიმდინარეობდა.

„ძალიან მოსწონდათ ჩვენი რეპერტუარის მრავალფეროვნება, რომელიც მოიცავდა როგორც საგალობლებს – „შენ ხარ ვენახი", „ჟამთა და წელთა", ისე ხალხურ სიმღერებს – „კალოსპირული", „ბერიკაცი", „ხასანბეგურა", „ზამთარი", „კახური მრავალჟამიერი", აგრეთვე საკომპოზიტორო ნაწარმოებებს – ა. მაჭავარიანის „დოლური", ა. ჩიმაკაძის „ფიროსმანი". ორჯერ, სამჯერ და ზოგჯერ ოთხჯერაც კი გვამეორებინებდნენ ამ სიმღერებს და კონცერტს ვერ ვამთავრებდით ხოლმე.

ერთ-ერთი ხალხმრავალი კონცერტის შემდეგ, რომელიც

მაყურებელმა ტრადიციულად ტაშითა და ოვაციით მიიღო, სცენაზე ამოვიდა უცხოელი მსმენელი და ჩვენი გამოსვლა ასე შეაფასა: „მადლობელი ვარ, რომ ამ კონცერტის მეშვეობით ვეზიარეთ ქართულ კულტურას. მე არ ვიცი, საქართველო სად მდებარეობს, მაგრამ დედამიწა ბედნიერია იმით, რომ აქვს საქართველო და ქართული სიმღერა!“ – იხსენებს ბატონი მიშა.

1972 წელს „გორდელას“ შემადგენლობა, ფაქტობრივად, სრულად შეიცვალა. ბადრი თოიძე, აბიკო დანელიანი, თამაზ პავლოვი და თამაზ ანდღულაძე ჩაანაცვლეს ომარ ჩიტაიამ, ნიკოლოზ (კოლია) კაპანაძემ, რობერტ გოგოლაშვილმა და დავით ტურიაშვილმა.

1975 წელს მიშა მცურავიშვილს გორის გუნდის ხელმძღვანელობა შესთავაზეს, ამავე დროს, „გორდელადან“ წავიდა გომარ სიხარულიძე და ანსამბლიც დაიშალა.

თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ „გორდელამ“ თავისი სიტყვა თქვა! ქართული საეკლესიო საგალობლის სცენაზე პირველი შესრულება სწორედ ამ ანსამბლის დამსახურებაა. გარდა ამისა, თავისი მოღვაწეობის განმავლობაში (1962-1975 წწ.) „გორდელამ“ დიდი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაციის საქმეში საქართველოს ფარგლებს გარეთ და მსოფლიოს გააცნო ქართული ტრადიციული მუსიკა. „გორდელას“ წიაღში ჩამოყალიბდა მიშა მცურავიშვილისა და თემურ ქევხიშვილის განუმეორებელი დუეტიც, რომლის ნამღერი „ზამთარი“, „ბერიკაცი“ და „კახური მრავალჟამიერი“ იმთავითვე ქართული ხალხური სიმღერის „ოქროს ფონდში“ შევიდა.

სწორედ „გორდელას“ უკავშირდება საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, რომელიც მიხეილ მცურავიშვილმა ამ ანსამბლის წევრებთან ერთად 27 წლის ასაკში მიიღო.

ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი

1937 წელს საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწე კირილე ვაშაკიძემ ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი ჩამოაყალიბა.

საქართველოში ხალხურ საკრავთა ორკესტრის შექმნას თავისი წინაპირობა ჰქონდა.

1927 წელს ავქსენტი მეგრელიძემ ჯერ მეჩონგურე ქალთა ჯგუფი შექმნა, 1935 წელს კი ორკესტრის ჩამოყალიბების საკითხიც დაისვა. ეს იდეა 1937 წელს საბოლოოდ კირილე ვაშაკიძემ განახორციელა. მას ხალხურ საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები მოსკოვში ჰქონდა გავლილი და თავისი საქმიანობით საბჭოთა ტრადიციების მიმდევარი გახლდათ. მისი მიზანი იყო ტრადიციული ხალხური საკრავების შესაძლებლობების გაფართოება-განვითარება და მათი ერთად აჟღერება.

სხვადასხვა ჯგუფისა თუ ტექნიკური შესაძლებლობის ინსტრუმენტების ერთად აჟღერება რომ შესძლებოდა, კირილე ვაშაკიძემ მათი ტემპერაცია მოახდინა და დიატონური წყობა ქრომატიულით ჩაანაცვლა.

ცვლილებები საკრავების კონსტრუქციასაც შეეხო და მანამდე არარსებული, განსხვავებული ფორმისა და ზომის ინსტრუმენტები დამზადდა. შეიცვალა ტრადიციულ საკრავთა – ფანდურის, ჭუნირის, ჩანგის, სალამურის წყობა და ბგერათა რიგი; ჩონგურს დანაყოფები დაემატა, ჭუნირს კი – ერთი სიმი. ვაშაკიძის ორკესტრში დაირღვა კუთხურობის პრინციპიც: განსხვავებული ეთნოგრაფიული რეგიონის საკრავები – ჩონგური, ფანდური, ჩანგი, ჭუნირი, სალამური და სხვა – ერთ ანსამბლად გაერთიანდა.

მსგავსი ტიპის ორკესტრისათვის ქართულ სინამდვილეში, ბუნებრივია, სპეციალური რეპერტუარი არ არსებობდა. ამიტომ მასზე ძირითადად ხალხური მელოდიების დამუშავებული ვერსიები ან კომპოზიტორთა ნაწარმოებები სრულდებოდა.

ამგვარად, ხალხურ საკრავთა ორკესტრის დაფუძნებით

ტრადიციული ქართული მუსიკალური აზროვნების სისტემას ევროპული, კლასიკური კანონზომიერებები ჩაენაცვლა. ორკესტრმა წარმატებით იღვაწა დაახლოებით 4 ათეული წლის განმავლობაში. მისი ჟღერადობა კარგად მიესადაგებოდა ფოლკლორის საბჭოურ საშემსრულებლო პრინციპებს, რაც შემსრულებელთა სიმრავლეს, მასიურ ჟღერადობასა და პომპეზურობას გულისხმობდა.

1953 წლიდან კირილე ვაშაკიძეს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ჩამოყალიბებული ორკესტრის ხელმძღვანელობა დაავალეს. ანსამბლმა მრავალი კონცერტი ჩაატარა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ანსამბლის რეპერტუარში შედიოდა კომპოზიციები: „იმერული სახუმარო“, „ჩვენი მხარე“, „თუშური ჩანამღერი“, „დიდოუ ნანა“, „მთის მელოდიები“, „შენი თვალები“, „ქართლური საცეკვაო“, „სიმღერა მცხეთაზე“, „ოსური საცეკვაო“, „მთიელ ქალთა საცეკვაო“, „თუშური სატრფიალო“, „კავთისხევური სატრფიალო“, „ხორუმი“ და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1958 წელს საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლა ვალერიან ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით, რომელსაც საორკესტრო თანხლებას კირილე ვაშაკიძის ხალხურ საკრავთა ორკესტრი უწევდა. ბატონი მიშას თქმით, ამან მნიშვნელოვნად განაპირობა სახელმწიფო ანსამბლის დიდი წარმატება.

1970 წელს კირილე ვაშაკიძეს 60 წელი შეუსრულდა. „1971 წელს, მეხუთე კურსზე რომ ვიყავი, კირილე ვაშაკიძე კონსერვატორიაში მოვიდა და მითხრა, მე პენსიაზე უნდა გავიდე და მინდა, ხალხურ საკრავთა ორკესტრს შენ ჩაუდგე სათავეში, მე კი კონსულტანტი ვიქნები“, – იხსენებს ბატონი მიშა.

5 წლის განმავლობაში იყო ბატონი მიშა ორკესტრის დირიჟორი და სოლისტი. სწორედ ამ დროს მიშა მცურავიშვილის სოლისტობით ჩაიწერა კომპოზიტორ ოთარ თევდორაძის კომპოზიცია ქართული მულტიპლიკაციური ფილმისთვის

„ლურჯი მელია“, მეგრულ სიმღერა „მარებელის“ საორკესტრო ვარიანტი, ცეკვა „ქართული“ ოპერიდან „დაისი“, ასევე – რევაზ ლაღიძის „სიმღერა სამშობლოზე“, კოტე ფოცხვერაშვილის „ინდი-მინდი“, ანდრია ყარაშვილის რომანსი „ისევ შენ და ისევ შენ“, ალექსანდრე შავერზაშვილის „პირველი ყვავილები“, დიმიტრი არაყიშვილის „ურმული“ ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

დედა – ნინო კვირიკაშვილი

სამხედრო სამსახურში. მოსკოვი. 1964



დირიჟორი ვახტანგ ფალიაშვილი (1919-1980)

კომპოზიტორი მამია ხატელიშვილი (1932-1987)

მამია ხატელიშვილის კვარტეტი (მარცხნიდან: ნიკოლოზ კაპანაძე, ომარ ჩიტაია, მამია ხატელიშვილი, არდაშინ ავიცბა). 1960

კვარტეტი „ფიროსმანი“ (მარცხნიდან: ომარ ჩიტაია, ნიკოლოზ კაპანაძე, გოვენ ჭეიშვილი, მიხეილ მცურავიშვილი). 1967

კვარტეტი „ფიროსმანი“ (მარცხნიდან: მიხეილ მცურავიშვილი, თენგიზ ზაალიშვილი, ნიკოლოზ კაპანაძე, ომარ ჩიტაია). 1985

მიხეილ მცურავიშვილი ჯონ კარტერსა და მის მეუღლესთან ერთად. 1985



office of the

Secretary of State.

Be it known, henceforth, far and wide, that I, Max Cleland, Secretary of State of the State of Georgia do hereby certify that

MICHAEL MTSURAVISHVILI

is an

Honorary Georgia Citizen

May this Honorary Citizen be afforded every courtesy as a Goodwill Ambassador from Georgia in his/her travels to other states, to nations beyond the borders of the United States of America, or wherever this person may hereafter travel or reside.

Signature

In Witness Whereof, I have hereunto set my hand and caused to have affixed the great seal of the State of Georgia at the Capitol, in the City of Atlanta, this ninth day of May, A.D. 19 85

Max Cleland

Max Cleland
Secretary of State

ჯორჯიის შტატის საპატიო მოქალაქის სიგელი. 1985

მოწვევა

პატივცემულო

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია 1985 წლის 29 მარტს ფოლკლორის ტაძარში აწყობს საბჭოთა სიმღერის პირველი საკავშირო კონკურსის ლაურეატის ვაჟთა ვოკალურ კვარტეტ „ფიროსმანი“-ს

კონცერტს

დასაწყისი 20 საათზე

გთხოვთ გვეწვიოთ

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება,
საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია.

ანსამბლ „ფიროსმანის“ კონცერტის მოსაწვევი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში. 1985

კვარტეტი „ფიროსმანი“ (მარცხნიდან: თენგიზ ზაალიშვილი, მიხეილ მცურავიშვილი, ნოდარ მეძმარიაშვილი, ომარ ჩიტაია). 1990

კვარტეტი „ფიროსმანი“ აშშ-ში (მარცხნიდან: ნოდარ მეძმარიაშვილი, მიხეილ მცურავიშვილი, თემურ გუგუშვილი, ომარ ჩიტაია). 1991

„ფიროსმანის“ წევრები სტუმრად CNN-ის რადიოში
(მარცხნიდან: ომარ ჩიტაია, მიხეილ მცურავიშვილი,
ფოტოკორესპონდენტი ბონდო დადვაძე). 1991



მიხეილ მცურავიშვილი ნუგზარ რუხაძის გადაცემაში. 1991

ვაჭრობის კავშირის ვოკალური ჯგუფი მიხეილ მცურავიშვილის ხელმძღვანელობით. 1968

ანსამბლი „გორდელა“ დრეზდენის გალერეაში (მარცხნიდან: მიხეილ მცურავიშვილი, ალბერტ დანელიანი, გომარ სიხარულიძე, თამაზ ანდღულაძე, ბადრი თოიძე, თამაზ პავლოვი, თემურ ქევხიშვილი). 1969

ანსამბლი „გორდელა“ დრეზდენის გალერეაში, ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძესთან ერთად. 1969

მიხეილ მცურავიშვილი და ლადო გუდიაშვილი დრეზდენის გალერეაში. 1969

ანსამბლი „გორდელა“ და კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი დრეზდენში. 1969

ახალი „გორდელა“ (მარცხნიდან: ომარ ჩიტაია, დავით ტურიაშვილი, გომარ სიხარულიძე, რობერტ გოგოლაშვილი, მიხეილ მცურავიშვილი, ნიკოლოზ კაპანაძე, თემურ ქევხიშვილი). 1975

ანსამბლ „გორდელას“ პირველი ფირფიტა. 1973

ანსამბლ „გორდელას“ მეორე ფირფიტა. 1973

ანსამბლ „გორდელას“ მესამე ფირფიტა. 1974

კირილე ვაშაკიძე (1910-1991)

მიხეილ მცურავიშვილი. 1972

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო
ანსამბლის ორკესტრი კირილე ვაშაკიძის ხელმძღვანელობით
(ცენტრში: კირილე ვაშაკიძე). 1954

ხალხურ საკრავთა ორკესტრი მიხეილ მცურავიშვილის ხელმძღვანელობით. 1973

ომარ კელაპტრიშვილი, ვანო გელაშვილი, ილია ზაქაიძე, მიხეილ მცურავიშვილი. საქართველოს სახელმწიფო ტელევიზია. 1971

საქართველოს სახელმწიფო ანსამბლის ვოკალური ჯგუფი მიხეილ მცურავიშვილის ხელმძღვანელობით (მარცხნიდან: მ. მცურავიშვილი, ბ. სორდია, რ. ჭკადუა, ზ. ჭაფოძე, თ. ჭკუასელი, ნ. მეძმარიაშვილი, ო. ხოფერია, რ. მდინარაძე, რ. გოგოლაშვილი). 1977

„ახ, მეზურნევ!“

როგორც ცნობილია, XVI-XVII საუკუნეებიდან ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს ახალი შენაკადი შეუერთდა. ეს იყო აღმოსავლური მუსიკა, მისთვის დამახასიათებელი ჟანრებით, ფორმებით, შესრულების თავისებურებებით, საკრავიერი თანხლებით. ის საქართველოს ცალკეულ რეგიონებში – სამცხე-ჯავახეთსა და ქართლ-კახეთში – მუსლიმთა ჩამოსახლების შედეგად დამკვიდრდა. ეს შენაკადი ქალაქური ფოლკლორის აღმოსავლურ შტოდ, სხვაგვარად – აშუღურ ხელოვნებად იწოდება.

აშუღური ტრადიციები თბილისის წიაღშიც ჩაისახა და განვითარდა. თუ გავითვალისწინებთ ისტორიული ვითარებითა და გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებულ თბილისის მოსახლეობის მრავალფეროვან ეთნიკურ შემადგენლობას, ადვილი წარმოსადგენი გახდება, რატომ გაიდგა ფესვები აღმოსავლურმა კულტურამ უმთავრესად თბილისურ ყოფა-ცხოვრებაში. დიდი სავაჭრო გზების შესაყარზე მდებარე თბილისმა ძველთაგანვე მრავალი ეროვნების წარმომადგენელი შეიფარა და ინტერნაციონალური ქალაქის სახე მიიღო. აღმოსავლური მუსიკის გავრცელებაც ორგანულად დაუკავშირდა დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებას.

თბილისში თანაარსებობდა აღმოსავლური მუსიკისა და ეროვნული კულტურის ტრადიციები. აქ მოღვაწე აშუღები ასრულებდნენ როგორც აზიური მუსიკის რთულ, ციკლურ ფორმებზე – მუღამების სისტემაზე დამყარებულ, ასევე – ადგილობრივი მუსიცირების პრაქტიკაში აღმოცენებულ ნიმუშებს. აშუღური პლეადის ნიჭიერი წარმომადგენლები თანაბრად ფლობდნენ ერთსაც და მეორესაც. საქართველოს აშუღებმა შეითვისეს აღმოსავლური პოეზიის კლასიკური ფორმები – ბაიათი, მუხამბაზი, შიქასტა და სხვ.

აშუღური ხელოვნების ფართო გავრცელება დაკავშირებულია მეფე ერეკლე II-ის კარზე მოღვაწე მგოსნების, პოეტებისა და მუსიკოსების – საიათნოვასა და ბესიკის სახელებთან,

რომელთაც ე.წ. „ტფილისურ მუსიკალურ ფოლკლორს“ დაუდეს სათავე. აშუღებს – პოეტისა და მუსიკოსის ნიჭითა და იმპროვიზაციის უნარით დაჯილდოებულ ადამიანებს – გამორჩეული ადგილი ეკავათ თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცხოვრებაში. პოპულარობით სარგებლობდნენ აშუღები: სათარა, სკანდარნოვა, გივიშვილი, ბეჩარა, საგინაშვილი, შამჩი-მელქო, ევანგულა, ჭიპრ-დალაქიშვილი, ჰაზირა, იეთიმ გურჯი და სხვები.

სწორედ მათი მემკვიდრე იყო XX საუკუნის თბილისელი აშუღი, საქართველოსა და სომხეთის დამსახურებული არტისტი, ბაიათების უბადლო შემსრულებელი, გლახო ზახაროვი, რომლის სიმღერებს მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით მიშა მცურავიშვილი ბავშვობიდან რადიოს მეშვეობით ეზიარა: „პატარობიდან მიზიდავდა დუდუკის ტემბრი, მედუდუკეთა დასტა და გლახოს ბაიათები, განსაკუთრებით – „სიზმრად ვნახე საიათნოვა“ და „ორთავ თვალის სინათლევ“ – გვიამბობს იგი.

აქ აუცილებლად აღსანიშნავია დუდუკის როლი ქართული ქალაქური მუსიკის თანხლებაში. აღმოსავლური ყაიდის სიმღერებს საქართველოში, ბუნებრივია, საკრავებიც შემოჰყვა. ესენი იყო: სიმებიანები – საზი, თარი, ქამანჩა და ჩასაბერები – ზურნა და დუდუკი. თუმცა ქართულმა ქალაქურმა სიმღერამ ყველაზე მეტად ტემბრულადაც და ტესიტურულადაც დუდუკი „მოიხდინა“. სხვა საკრავები ქართული ხალხური შემოქმედებიდან განიდევნა.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დუდუკზე საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებას ხელი შეუწყო ისეთი ქართველი მუსიკოსების თაობამ, როგორებიც არიან: გრიგოლ ქსოვრელი, გივი გაგლოშვილი, ზაურ მერებაშვილი, კობა პაპიაშვილი, შოთა ებიაშვილი, დავით ძიძიშვილი, ელდარ შოშიტაიშვილი, ლევან ოძელაშვილი და სხვები.

„სხვათა შორის, „დიდ რუსულ ენციკლოპედიაში“ დუდუკი სომხურ ხალხურ საკრავად აა მოხსენიებული. კირილე ვაშაკიძის დიდი ძალისხმევით, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ჩაიწერა, რომ ესაა ქართული და სომხური საკრავი. სომხური

დუდუკი ქართულზე კვარტით მაღალია და ძალიან წივის. ჩვენი – მამაკაცის ტენორის ხმაზე ჟღერს. „ქართული დუდუკი“ პირველად მოიხსენია კირილე ვაშაკიძემ, რომელიც თავადაც ამზადებდა ამ საკრავს“, – გვიყვება ბატონი მიშა.

დუდუკებთან მღერის პირველი შესაძლებლობა მიხეილ მცურავიშვილს 1974 წელს მიეცა.

ამ ამბავს იგი ასე იხსენებს: „ერთხელ კირილე ვაშაკიძის ორკესტრის რეპეტიციაზე ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელი მდივანი გრიშა ჩიკვილაძე მოვიდა მეუღლესთან ერთად და მითხრა, ლექსი მაქვს დაწერილი დუდუკზე, დაახლოებით მელოდიაც ვიციო და წამიმღერა. ძალიან მომეწონა, მაშინვე გამოვიყვანე რეპეტიციიდან სამი მედუდუკე – ზაურ მერებაშვილი, კობა პაპიაშვილი და გივი გაგლოშვილი. იქვე გავშალე ეს მელოდია ოთხ ხმაში, მეორე დღეს კი სიმღერა „დუდუკო, ჩემო“ ამ სამ მედუდუკესთან ერთად რადიოში ჩავწერე. ისეთი ამბავი ატყდა, მალე ყველა რესტორანში ამ სიმღერას უკრავდნენ. ვინც მოისმინა, ყველამ მითხრა, ეს რა კარგი სიმღერა გაგიკეთებიაო.

კიდევ უფრო ძლიერი ეფექტი მსმენელზე მოახდინა ამ სიმღერის საგუნდო არანჟირებამ, რომელიც მოგვიანებით გორის ვაჟთა გუნდის 60-კაციანი შემადგენლობითა და ხალხურ საკრავთა ორკესტრის შესრულებით ჩავწერეთ“.

ეს სიმღერა მას შემდეგ ბევრმა იმღერა, მაგრამ ვისაც მიხეილ მცურავიშვილის შესრულებული „დუდუკო, ჩემო“ მოუსმენია, უთუოდ დამეთანხმება, რომ ის, მართლაც, განუმეორებელია!

აღსანიშნავია, რომ მიშა მცურავიშვილი პირველი ქართველი იყო, ვინც ბაიათი იმღერა. ეს იყო „ბაიათი-რასტი“, რომელიც მან იმავე მედუდუკეთა ანსამბლთან ერთად შეასრულა. ჩანაწერის მოსმენის შემდეგ გლახო ზახაროვს უთქვამს: „ეს არის ბაიათის პირველი ქართული შესრულება, რომელშიც უხვადაა ქართული სიმღერის ნაქარგებიცა და აზიურობისათვის დამახასიათებელი ყველაფერი აუცილებელიც, ულამაზესი სი ბემოლით დამთავრებული. ეს ბიჭი ისე მღერის ბაიათს,

როგორც მღერის „ზამთარს“, „კახურ მრავალჟამიერს“ და „შემოძახილს“. ჩვენ რომ ვმღერით, ის აზიურია, მისი ნამღერი კი – ქართული“.

მიშა მცურავიშვილმა გლახო ზახაროვი რომ გაიცნო, ეს უკანასკნელი 80 წელს იყო მიტანებული. მას შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე ისინი კარგი მეგობრები და ერთმანეთის შემოქმედების დამფასებლები იყვნენ.

მედუდუკეების დასტასთან ერთად მიშა მცურავიშვილს კიდევ არაერთი სიმღერა აქვს ჩაწერილი. მათ შორის: „მთვარიან ღამეს“, „დამისხი, დამალევინე“, „ოდესაც გიცქერ“, „საქართველო“, „სიყვარული“, „ქალაქური სატრფიალო“, „ახ, მეზურნევ!“ და სხვ. მათ შორის, სიმღერები „ქალაქური სატრფიალო“, „დუდუკო, ჩემო“, „ახ, მეზურნევ“, „იავნანა“, „ოდესაც გიცქერ“ მისი არანჟირებულია, რითაც მათ ქართული ხალხური სიმღერის ხასიათი და ფორმა მისცა.

შეიძლება ითქვას, მიშა მცურავიშვილმა, ერთი მხრივ, შეინარჩუნა აღმოსავლური ჰანგებისთვის დამახასიათებელი მელიზმური ხვეულები, ჰარმონიული მაჟორისა და მინორის ზედა დაღმავალი ტეტრაქორდი გადიდებული სეკუნდით, მეტრის ცვალებადობა და სხვ. თუმცა, მეორე მხრივ, წარმოშობით ქართლელმა კაცმა, რომელსაც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ქართლ-კახური სიმღერებისთვის დამახასიათებელი „ჩახვევები“, ქართულ ყაიდაზე „მოაქცია“ ისინი.

გორის ვაჟთა გუნდი

მიშა მცურავიშვილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი გორის ვაჟთა გუნდია, რომელსაც უკვე ხუთი ათეული წელია ხელმძღვანელობს.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ გორი დიდი კულტურისა და მუსიკალური ტრადიციების ქალაქია. XIX საუკუნის ბოლოს გორში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ცნობილი მწერლები: ნიკო ლომოური და სოფრომ მგალობლიშვილი, გორის ხშირი სტუმრები იყვნენ ვაჟა-ფშაველა და მისი ძმები – ბაჩანა და

თედო რაზიკაშვილები. გორის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა ტრადიციული სიმღერა-გალობის იშვიათი მცოდნე სიმონ გოგლიჩიძე. მის გუნდში მღეროდნენ შემდეგში გამოჩენილი ლოტბარები – სანდრო და მიხეილ კავსაძეები. იმ პერიოდში გორში შესანიშნავი ხალხური მომღერლების მონაწილეობით ხშირად იმართებოდა საქველმოქმედო კონცერტები.

XX საუკუნის დასაწყისში დებმა ეკატერინე და მარო თარხნიშვილებმა გორში ჩამოაყალიბეს მომღერალთა ანსამბლი.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში გორში მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებდა ქართული ხალხური სიმღერის გუნდი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ქართლში ხალხური სიმღერის პოპულარიზაციას. სწორედ ამ გუნდის რეპერტუარში აჟღერდა პირველად დღეს ცნობილი სიმღერები: „მეტივური“ „გუთნური“, „ღამის მეხრე“, „ქართვლის დედაო“ და სხვ.

1947-1954 წლებში გორში შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით და ვახტანგ წერეთლისა და ფირუზ მახათელაშვილის ლოტბარობით. გუნდის რეპერტუარიდან აღსანიშნავია: „ატენის ღვინოვ, ნაქებო“, „ნანინა“, „მუმლი მუხასა“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“ და სხვ.

1954 წლის შემდეგ გორს ანსამბლი არ ჰყავდა, სანამ 1975 წელს ქალაქის ხელმძღვანელობამ ვაჟთა გუნდის ჩამოყალიბება არ გადაწყვიტა. გუნდში შესანიშნავი თაობა მოვიდა – სტუდენტები და საშუალო სკოლადამთავრებული, ნიჭიერი ახალგაზრდები. მალე წევრთა რაოდენობამ ორ-მოცდაათს გადააჭარბა.

„მაშინ გორის საქალაქო კომიტეტის მდივნად მუშაობდა ჩემი ბავშვობის მეგობარი და მეზობელი ამირან ბიძინაშვილი, რომელიც ჩემთან, თბილისში, ჩამოვიდა და მთხოვა, გორის გუნდს ჩავდგომოდი სათავეში. სწორედ ამან გადამაწყვეტინა „გორდელას“ დატოვება და გორში წასვლა. შემიძლია ვთქვა,

რომ მე ყველაფერი გავაკეთე მაღალი დონის საშემსრულებლო კოლექტივის შესაქმნელად“, – გვიამბობს ბატონი მიშა.

მართლაც, მიშა მცურავიშვილის თავდაუზოგავმა შრომამ, გუნდის წევრების ენთუზიაზმმა და ქალაქის ხელმძღვანელობის ხელშეწყობამ შედეგი გამოიღო: ჩამოყალიბებიდან სამ თვეში ვაჟთა გუნდი გორის სახელმწიფო თეატრში მაყურებლის წინაშე სოლო კონცერტით წარდგა. გუნდმა შესანიშნავად შეასრულა ურთულესი რეპერტუარი და საზოგადოების აღფრთოვანება დაიმსახურა. რეპერტუარი ძირითადად ქართლ-კახური სიმღერებისგან შედგებოდა, თუმცა შესრულდა ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები და პოპულარული კლასიკური საგუნდო ნაწარმოებებიც.

ამ კონცერტის შემდეგ, საზოგადოების თხოვნით, გუნდს „გორი“ ეწოდა.

1979 და 1981 წლებში ჩატარებულ რესპუბლიკურ ოლიმპიადებში გუნდი „გორი“ კომპეტენტურმა ჟიურიმ და პროფესიონალმა მუსიკოსებმა ერთ-ერთ საუკეთესო ვაჟთა კოლექტივად აღიარეს და გრან-პრი მიანიჭეს. მაშინდელმა კულტურის მინისტრმა, ცნობილმა კომპოზიტორმა ოთარ თაქთაქიშვილმა მთავრობის საანგარიშო სხდომაზე აღნიშნა: „მე ასეთი ვაჟთა გუნდის ნამღერი ჯერ არ მომისმენია“. რეპერტუარიდან კი მისი განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა სიმღერებმა: „ბერიკა“, „გუთნური“, „ალილუია“ და „მეტივური“.

ამას რომ მიყვებოდა, ბატონ მიშას ვკითხე, „ბერიკა“ რა სიმღერაა-მეთქი. მან მიამბო ისტორია, რომელიც ინტერესიანი და ალღოიანი მუსიკოსის პორტრეტს გვიხატავს: „ანდრიაშვილი-მახარაძის კრებულის თვალიერებისას წავაწყდი ია კარგარეთელის 8-ტაქტიან საგუნდო პარტიტურას, რომელსაც „ბერიკა“ ეწერა. ფრაგმენტის მელოდია მომეწონა და დავინტერესდი, თავი და ბოლო როგორი ჰქონდა. მივედი ვახტანგ წერეთელთან, რომელმაც მითხრა, ვიცი ეს სიმღერაო და მიმღერა. მე კი ის გორის გუნდთან გავაკეთე“.

1977 წელს „გორი“ პირველად ჩაწერეს საქართველოს

რადიოში. „ამ ჩაწერის დროს სტუდიაში სრულიად შემთხვევით მოვიდა ილია კაპანაძე, რომელიც 50-იან წლებში მარო თარხნიშვილის პარტნიორი და საოპერო მომღერალი იყო. ეს შემთხვევა ხელიდან არ გავუშვით და მასთან და გორის გუნდთან ერთად სიმღერები „ზამთარი“ და „ბერიკაცი“ ჩავწერეთ.

თითქმის ყველა ეს სიმღერა გამოჩენილ მომღერალთან მიმღერია, მაგრამ ილია კაპანაძის შესრულება ჩემთვის საოცრება იყო. იქ, სადაც მეორე ხმა მაღლა ადის და პირველი ენაცვლება, ილიამ ფანტასტიკური ლა დასვა. აღარაფერს ვამბობ მარო თარხნიშვილისეულ მელიზმებზე. ასეთი ლამაზი, სწორი და ძლიერი ხმა ქართულ სიმღერაში არ მომისმენია. საბედნიეროდ, საქართველოს რადიოს ფონდში აღმოჩნდა სიმღერის „ზამთარი“ ეს, მართლაც, ერთ-ერთი საუკეთესო ჩანაწერი, რომელიც სიამოვნებით შევიტანე ჩემს ალბომში“, – იხსენებს ბატონი მიშა.

1981 და 1986 წლებში ფირმა „მელოდიამ“ გამოუშვა გორის გუნდის ორი გიგანტი გრამფირფიტა, საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდში“ კი ჩაიწერა გუნდის ორმოცი სიმღერა.

1987 წელს მიხეილ მცურავიშვილს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

1990-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება ყველა დარგზე აისახა, მათ შორის, კულტურაზეც. 1992 წელს გორის დიდი გუნდი, ფაქტობრივად, დაიშალა. თუმცა 1999 წლიდან, ბატონი მიშასა და გორის უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, გედევან ხელაიას ძალისხმევით, შეიქმნა მცირე შემადგენლობის გუნდი, რომელშიც უნივერსიტეტის პირველკურსელები ავტომატურად ირიცხებოდნენ. რეპეტიციებიც უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ტარდებოდა. მიშა მცურავიშვილმა ჩვეული შემართებით გააგრძელა გუნდის ხელმძღვანელობა და არაერთ საგასტროლო მოგზაურობაშიც წაიყვანა ახალგაზრდა მომღერლები.

2019 წელს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო

ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, გამოიცა გორის ვაჟთა გუნდის აუდიოალბომი, რომელშიც შეტანილია პოპულარული ქართლ-კახური სიმღერები და ნაკლებად ცნობილი ქალაქური სიმღერები მედუდუკეთა და ხალხურ საკრავთა ანსამბლების თანხლებით. მრავალი მათგანი მიშა მცურავიშვილის მიერაა მოძიებული და არანჟირებული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ გამოცემაში შევიდა მივიწყებული ქართლური სიმღერები: „ფერხული“, „სხვათა მოჯამაგირობას“ „გუთნური“, „იავნანა“ და „ქართვლის დედაო“. ამ გამოცემაშივე შესულია გორელი კომპოზიტორის, ვანო მურადელის ნაწარმოები „ჩემო გორო“.

ამჟამად გორის გუნდი მცირე შემადგენლობით (25 კაცი), მაგრამ აქტიურად აგრძელებს მოღვაწეობას. მას გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ზურაბ წკრიალაშვილი ხელმძღვანელობს, მთავარი კონსულტანტი კი მიხეილ მცურავიშვილია.

ანზორ ერქომაიშვილი გორის გუნდს აფასებდა, როგორც „განუმეორებელი ხელწერის გუნდს“. აი, მისი სიტყვები, რომელიც „გორის“ აუდიოალბომის ბუკლეტს დაურთო:

„გორი“ მიშა მცურავიშვილის ხელმძღვანელობით ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი გუნდია. სიამოვნებით ვუსმენ აუდიოალბომს და მაგონდება 1951 წლის რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომლის მონაწილე მეც ვიყავი ოზურგეთიდან. მაშინ გორის გუნდმა, ვახტანგ წერეთლის ხელმძღვანელობით, უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. რაოდენ სასიხარულოა, რომ გუნდში მაშინდელი რეპერტუარიდან კვლავ აჟღერდა მივიწყებული უნიკალური სიმღერები: „ფერხული“, „სხვათა მოჯამაგირობას“, „გუთნური“, „იავნანა“, „ქართვლის დედაო“ და სხვ. გუნდი „გორი“, მართლაც, გამორჩეულია სიმღერების მაღალპროფესიული შესრულებით, მრავალჟანრიანი რეპერტუარითა და კოლორიტული სოლისტებით. აქვს საკუთარი, განუმეორებელი ხელწერა და შესრულების იშვიათი მანერა. ძნელია, მოიძებნოს სხვა კოლექტივი, რომელიც ასეთ მა-

ღალ დონეზე შეასრულებს უძველეს ხალხურ სიმღერებს, კომპოზიტორთა ნაწარმოებებს და ქალაქურ სიმღერებს. რაც შეეხება მიშა მცურავიშვილს, იგი, ჩემი აზრით, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალი და ლოტბარია.

თუ დღეს გუნდი „გორი“ გამორჩეული და სახელოვანია, ეს მხოლოდ მიშას დიდი ოსტატობისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ვუსურვებ ამ შესანიშნავ გუნდს დღეგრძელობას და ახალ წარმატებებს გორელების გასახარად. გულწრფელი პატივისცემით, ანზორ ერქომაიშვილი“.

ანსამბლი „შარავანდი“

„1990 წელს ვახტანგ როდონაიამ დავით აღმაშენებლის საზოგადოების თავმჯდომარესთან, მწერალ გურამ ფანჯიკიძესთან მიმიყვანა, რომელსაც ხალხური სიმღერის გუნდის შექმნა სურდა. გამოვაცხადეთ კონკურსი ორმოცდაათი კაცის შესარჩევად. ჩვენდა გასაოცრად, დაახლოებით ხუთასი მოვიდა. ჩემთან ერთად ჟიურიში იყვნენ: ილია ზაქაიძე, ილია კაპანაძე, რობერტ გოგოლაშვილი, თენგიზ ზაალიშვილი და ომარ ჩიტაია. კონკურსის შედეგად ორმოცდაათი წევრი შევარჩიეთ და შევქმენით დავით აღმაშენებლის სახელობის ვაჟთა ეროვნული გუნდი „შარავანდი“, რომელსაც მოგვიანებით შეუერთდა სტუდენტი ვახტანგ ფილფანიც, როგორც გუნდის წევრი და ადმინისტრატორი.

რეპეტიციებისთვის მაშინდელი რკინიგზელთა სახლის სააქტო დარბაზი მოგვცეს. საქმე პედაგოგების შერჩევაზე რომ მიდგა, სვანური სიმღერების პედაგოგად ისლამ ფილფანი მოვიწვიე, გურული რეპერტუარის გაკეთება ოთარ ბერძენიშვილს ვთხოვე, ქართლ-კახური სიმღერების სწავლება კი მე ვითავე. სულ მალე „შარავანდმა“ ორგანყოფილებიანი კონცერტი გამართა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში, რომელსაც ძალიან დიდი რეზონანსი მოჰყვა.

სამწუხაროდ, ანსამბლმა სულ ორ წელს იარსება. პოლიტიკური არეულობის დროს, ფინანსური პრობლემების გამო,

დაიშალა. თუმცა, მიუხედავად ასეთი ხანმოკლე არსებობისა, ეს იყო საუკეთესო გუნდი, რომელთანაც ოდესმე მიმუშავია“, – იგონებს ბატონი მიშა.

ოჯახი

მიშა მცურავიშვილმა და მისმა მეუღლემ, მუსიკა-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ცისანა დათიაშვილმა 1969 წელს იქორწინეს. მათ თანაცხოვრების 46 წელი გაატარეს და როგორც შვილები იგონებენ, დედა მაქსიმალურად უწყობდა ხელს მუდმივად საქმით დაკავებულ მამას, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ერთმანეთის პარალელურად ქმნიდა გუნდებს, დადიოდა გასტროლზე, იწერდა სიმღერებს, ერთი სიტყვით, დატვირთულ შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა.

ბუნებრივია, ასეთი რეჟიმის პირობებში მას ბევრი დრო არ რჩებოდა შვილებისთვის. „ყველას რომ აკითხავდა მამა, ჩვენ კი – ვერა, გვწყინდა და ვსაყვედურობდით კიდეც, მაგრამ როცა წამოვიზარდეთ, მივხვდით, რომ ხელოვანის ცხოვრება ასეთია და ამას გაგება და ხელშეწყობა სჭირდება... სამაგიეროდ, გასტროლებიდან ხელცარიელი არასდროს ბრუნდებოდა და ამით, მართლაც, განებივრებული ვყავდით.

2016 წელს გარდაიცვალა ბატონი მიშას მეუღლე, რომლის მზრუნველი ხელი მონოგრაფიაზე მუშაობისას მეც ვიგრძენი: ბუნებით არაამბიციური ხელოვანის შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ქალბატონი ცისანას ძალისხმევით იყო შეგროვებული და დახარისხებული...

მიშა მცურავიშვილის ორივე ქალიშვილი მუსიკოსია, რაც ბუნებრივია მათ მშობლების პროფესიის გათვალისწინებით.

ნინო ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში საესტრადო-თეატრალური განყოფილების გამგე და საესტრადო სიმღერის პედაგოგია, ასევე მუშაობს სტუდია „ბასტი-ბუბუში“ ვოკალის მასწავლებლად. თამარი

ფორტეპიანოს ასწავლის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში, კერძო სკოლაში და მუსიკის პედაგოგად მუშაობს საჯარო სკოლაში. გარდა ამისა, ტაძარშიც გალობს, თუმცა, მათი თქმით, მამის ვოკალური მონაცემები არცერთს არ გამოჰყოლია.

თამარის და ნინოს შვილები სტუდენტები არიან.

ნინოს ვაჟი, ნიკოლოზ ქუთათელაძე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სწავლობს; თამარის უფროსი ვაჟი, მიქაელ ხარაძე – ვაშინგტონისა და ლის უნივერსიტეტში; უმცროსი, დავით ხარაძე, კი აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტია. ხალხური სიმღერისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოკვეთილად არცერთს არ გამოუვლენია, თუმცა მღერის ნიჭი სამივეს აქვს.

„ჩემი სიმღერა“

2017 წელს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და მხარდაჭერით, გამოიცა მიხეილ მცურავიშვილის აუდიოალბომი სახელწოდებით „ჩემი სიმღერა“, რომელშიც შეტანილია როგორც ყველასათვის ცნობილი, ისე ნაკლებად პოპულარული სიმღერები.

აუდიოალბომი გაზიარებთ ქართული მუსიკის მთელ მრავალფეროვნებას – როგორც ძირძველ, ტრადიციულ ქართლ-კახურ სიმღერებსა („გორდელასთან“ ერთად ჩაწერილი „ბერიკაცი“, „ზამთარი“, „კახური მრავალჟამიერი“, „ნამგლური“, „მაყრული“, „ხასანბეგურა“) და აშუღურ ბაიათებს („მთვარიან ღამეს“, „დამისხი, დამალევინე“, „ავარა ვარ“, „ოდესაც გიცქერ“, „საქართველო“, „სიყვარული“, „ქალაქური სატრფიალო“, „ახ, მეზურნევ!“), ისე ქართველ კომპოზიტორთა სიმღერებს (ა. ჩიმაკაძის „ანანურს ციხევ ნაგებო“, ა. ყარაშვილის „ისევ შენ და ისევ შენ“, რ. ლაღიძის „სიმღერა სამშობლოზე“, კ. ფოცხვერაშვილის „ინდი-მინდი“).

აუდიოალბომი „ჩემი სიმღერა“ სრულყოფილად წარმოაჩენს მიშა მცურავიშვილის მრავალმხრივ ნიჭს, ვოკალურ ოს-

ტატობასა და ინდივიდუალურ საშემსრულებლო მანერას.

ბატონმა მიშამ ჩემთან საუბარში დანანებით ახსენა რამდენიმე სიმღერა, რომლებიც მის აუდიოალბომში ვერ მოხვდა. მათ შორისაა: ალ. შავერზაშვილის „პირველი ყვავილები“, დ. არაყიშვილის „ურმული“ ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ნ. სულხანიშვილის „გუთნური“, რ. ლაღიძის „კარკუჩით წამაიყვანეს“ და სხვ. მონოგრაფიის აუდიოდანართში შეძლებისდაგვარად ყველა მათგანი ჩავწერეთ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მომღერალი, რომელსაც თანაბრად ხელეწიფება როგორც ხალხური, ისე აშუღური, კლასიკური და საკომპოზიტორო სიმღერების შესრულება, საქართველოში ძნელად მოიძებნება. ამის უტყუარი დასტურია ის, რასაც მიშა მცურავიშვილის შემოქმედების უკლებლივ ყველა შემფასებელი აღიარებს: „მიშამ რაც იმღერა, ვერავინ გაიმეორა!“

დღემდე „ვაჟკაცი დაუწუნარი“

2022 წელს მიშა მცურავიშვილს 80 წელი შეუსრულდა და მონოგრაფიაც ამ მნიშვნელოვან თარიღს ეძღვნება.

ამჟამად ბატონი მიშა ძირითადად მეჯვრისხევში ცხოვრობს. იგი მიწის დამუშავებით, ხეხილის დარგვითა და მოვლითაა დაკავებული. ამასთან ერთად, ცდილობს, ყველანაირი პირობა შექმნას შვილებისა და შვილიშვილების კომფორტული დასვენებისათვის.

თუმცა გორსა და თბილისს შორის კვლავ აქტიურად მიდიმოდის, რადგან თბილისში ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართვეს“ კონსულტანტია, გორში კი 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გორის სალოტბარო სკოლას ხელმძღვანელობს. მისი დიდი გამოცდილება და პედაგოგიური საქმიანობა ბავშვებში სასიმღერო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და ქართლ-კახური სიმღერის

სიღრმისეული დაუფლების საწინდარია.

გარდა ამისა, ბატონი მიშა დღემდე აქტიურადაა ჩართული გორის ვაჟთა გუნდის საქმიანობაში მთავარი კონსულტანტის სტატუსით.

„შემოქმედს უნდა შეეძლოს, ყველაფერი შესწიროს თავისი ცხოვრების მთავარ საქმეს. მრავალხმიანი ქართული სიმღერის მადლი მაბედვინებს, დღესაც ვუხელმძღვანელო ახალგაზრდა მომღერლებს და გზა დავულოცო წარმატებისკენ“, – ამბობს 80 წლის ლოტბარი.

2015 წელს ფონდმა „ქართულმა გალობამ“ მიხეილ მცურავიშვილი, როგორც ღვაწლმოსილი ლოტბარი, დააჯილდოვა ქართული სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის.

ხალისით, მიშა მცურავიშვილზე

თემურ ქევხიშვილი
საქართველოს დამსახურებული არტისტი,
ანსამბლ „გორდელას“ ერთ-ერთი სოლისტი

1968 წლის აგვისტოში „გორდელა“ და „ორერა“ სტამბოლში იმყოფებოდნენ. ჩვენი გასტროლები ერთ მნიშვნელოვან მოვლენას დაემთხვა – 20 აგვისტოს საბჭოთა ჯარი ჩეხოსლოვაკიაში შევიდა. ამ ფაქტის გამო, თურქეთის მოსახლეობამ მწვავე პროტესტი გამოხატა საბჭოთა მთავრობის მიმართ. საელჩოს წინ ზღვა ხალხი მოდიოდა ტრანსპარანტებით ხელში, იმართებოდა მიტინგები. ერთხელ სადილზე მიშა მცურავიშვილმა წყალი მოითხოვა. „სუ“, – უთხრა აბიკომ. მიშა გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ მიშამ წყალი ისევ მოითხოვა, ამჯერად უფრო ხმადაბლა, „სუ“, – უთხრა გომარმა. მიშა ისევ გაჩუმდა. მერე, ეტყობა, ძალიან გაუჭირდა და ოფიციანტს ჟესტიკულაციით აუხსნა, რომ სწყუროდა. „სუ?“ – ჰკითხა ოფიციანტმა. მაშინ კი იფეთქა მცურავიშვილმა, რა „სუ“, რის „სუ“, თქვენ გიჟები ხომ არ ხართ, პოლიტიკაზე ხომ არაფერს

ვამბობ, წყალი მწყურიაო! ყველა ავხარხარდით. მივხვდით, თურმე მიშამ არ იცოდა, რომ წყალს თურქულად „სუ“ ერქვა.

გომარ სიხარულიძის წიგნიდან „გორდელა 50“

ლევან ვეშაპიძე
ეთნომუსიკოლოგი, მომღერალ-მგალობელი

1995-1996 წლებში რამდენიმე ანსამბლში ერთდროულად ვმღეროდი. მათ შორის იყო ანსამბლი „ილიონი“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელები იყვნენ მიშა მცურავიშვილი და ოთარ ბერძენიშვილი. ამ ანსამბლში გავიცანი ორივე.

რეპეტიციებს თავდაპირველად ცირკის შენობაში ვატარებდით, თუმცა ერთხელ ანსამბლის დირექტორმა თამაზ ორჯონიკიძემ გვითხრა, საქართველოს საპატრიარქო მზადაა, სარეპეტიციო სივრცე გამოგვიყოსო და ჩვენც საპატრიარქოში გადავბარგდით.

პირველივე რეპეტიციაზე, სანამ ყველა შეიკრიბებოდა, მიშა მცურავიშვილმა და ომარ ჩიტაიამ (ისიც ამ ანსამბლში მღეროდა) სიტყვა ჩამოაგდეს რევაზ ლაღიძეზე. გაიხსენეს მთელი მისი შემოქმედება. მათ არ ჩამორჩა ოთარ ბერძენიშვილი, მოჰყვა ამბებს ლაღიძესთან თავისი ურთიერთობის შესახებ და ბოლოს გაიხსენეს ერთი სიმღერა, რომელიც მუსიკალური თვალსაზრისით, მართლაც, მშვენიერია (ან რა დაეწუნება რევაზ ლაღიძის მუსიკას?!). ამ სიმღერაზე შეაჩერეს არჩევანი და როცა ყველა შევიკრიბეთ, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი გაკეთება.

რეპეტიცია პირდაპირ ამ სიმღერით დავიწყეთ. ოთახში იდგა ფორტეპიანო, რომელზეც მიშა მცურავიშვილი შესანიშნავად ასრულებდა აკომპანიმენტს და სოლოსაც თავად მღეროდა. ჩვენც ომახიანად ვაგუგუნებდით გუნდის პარტიას.

უცებ კარი გაიღო. ერთ-ერთი ეპისკოპოსის და მის უკან მდგარი ხუთი მონაზვნის განცვიფრებული სახეები რომ დავინახეთ, მხოლოდ მაშინ მოვეგეთ გონს და მივხვდით,

ისე ვიყავით გატაცებული ლაღიძის მუსიკით, არც ერთს არ მიგვიქცევია ყურადღება ტექსტისთვის, რომელიც ღაღადებდა: „როცა მოგვიხმობს პარტიااااااა, აგუგუნდება მთა-ბარიიიიიიიი!..“

ბატონი მიშა შეცბა. თუმცა მერე ბევრი ვიხალისეთ, რომ წარმოვიდგინეთ, მთელ საპატრიარქოს როგორ ესმოდა: „ლენინს და პარტიას ვუმღეროთ დიდება!“

ნინო მცურავიშვილი
მუსიკოსი, მიშა მცურავიშვილის ქალიშვილი

მამას მძღოლობაზე ანეკდოტები დადიოდა. 40 წელს გადაცილებული იყო, საჭესთან რომ დაჯდა და ხშირად მოყოლილა ავარიაში. დაზიანებული მანქანა შესაკეთებლად ძირითადად ბიძაშვილთან მიჰყავდა მეჯვრისხევში, რომელსაც, როგორც ჩანს, ისე ხშირად აკითხავდა, რომ იმას შეუთავაზებია, ბარემ მანქანაში ჩაგიჯდები, სულ თან მატარე და როგორც კი რაღაცას მიარტყამ, გადმოვხტები და იქვე გაგიკეთებო.

ლევან ოძელაშვილი
მუსიკოსი, მედუდუკე

მიშა მცურავიშვილი ჩემი უფროსი მეგობარი და გამორჩეული ადამიანია. ერთხელ მეგობარმა გვითხრა, ცოლს ვეჩხუბე, გამებუტა, ბებიამისთან წავიდაო და გვთხოვა, დუდუკებით გამყევით, „გინდ მეძინოს“ დაუკარით, ფიალებს ავანთებთ ბიჭები და ვუმღერებთო. ამ დროს ბატონი მიშა იყო ჩვენთან მოსული. ვთხოვე, წამოგვყოლოდა. ჩვენ დუდუკებზე დავუკარით, ბიჭებმა ფიალებით იმღერეს. შეგვიპატიჟეს ოჯახში, მოგვართვეს ყავა და კონიაკი. ბატონ მიშას ვთხოვე, კიდევ ერთი სიმღერა ეთქვა დუდუკებთან ერთად. რომ დაამთავრა, იმ გოგოს ბებიამ თქვა, ამ ხმამ ჩემი ახალგაზრდობის უსაყვარლესი მომღერლის, მიხეილ

მცურავიშვილის ხმა მომაგონაო. რომ ვუთხარი, ეს არის მიშა მცურავიშვილი-მეთქი, გადაირია ეს ქალბატონი, ამას რას მოვესწარი, ბატონი მიშა ჩემს ოჯახში თავისი ფეხით მოვიდაო და იქ ამბავი ატყდა?! დილამდე მიდიოდა საოჯახო ზეიმი. რა თქმა უნდა, წყვილიც შევარიგეთ.

გლახო ზახაროვი (1905-1992)

მიხეილ მცურავიშვილი მედუდუკეთა ანსამბლ „ქსოვრელებთან“ ერთად (მარცხნიდან: ვანო ტატიაშვილი, ელდარ შოშიტაიშვილი, მიხეილ მცურავიშვილი, არჩილ ალავერდაშვილი, რობიზონ გიგაური, ზაურ წერეთელი). 2004

მარო და ეკატერინე თარხნიშვილების გუნდი. 1927

გორის ეთნოგრაფიული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ლოტბარი – ვახტანგ წერეთელი (მეორე რიგში, მარცხნიდან მეექვსე), ხელმძღვანელი – მიხეილ კავსაძე (მეორე რიგში, მარცხნიდან მეშვიდე). 1940-45 წლები



წარწერა ფოტოს უკანა მხარეს

გორის ვაჟთა გუნდი საქართველოს რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. ხელმძღვანელი მიხეილ მცურავიშვილი. 1981

ვაჟთა გუნდი „გორი“ მიხეილ მცურავიშვილის ხელმძღვანელობით. 1986

ვაჟთა გუნდ „გორის“ პირველი ფირფიტა. 1981

ვაჟთა გუნდ „გორის“ მეორე ფირფიტა. 1886

ვაჟთა გუნდი „გორი“ ბუდაპეშტში. 1983

ვაჟთა გუნდი „გორი“. 2017



დავით აღმაშენებლის სახელობის ვაჟთა ეროვნულ გუნდ „შარავანდის“ კონცერტი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში. ხელმძღვანელი – მიხეილ მცურავიშვილი. 1990



ანსამბლ „შარავანდის“
საკონცერტო აფიშა. 1991

მიხეილ მცურავიშვილი მეუღლესთან – ცისანა
დათიაშვილთან ერთად. 1971

მიხეილ მცურავიშვილი და ცისანა დათიაშვილი. 2001

მიხეილ მცურავიშვილი შვილთან –
ნინო მცურავიშვილთან ერთად. 1998

თამარ მცურავიშვილი დედასთან,
ცისანა დათიაშვილთან ერთად. 2005

მიხეილ მცურავიშვილი სიძეებთან – გიორგი ქუთათელაძესა და თემურ ხარაძესთან ერთად

მიხეილ მცურავიშვილი და ცისანა დათიაშვილი შვილიშვილებთან ერთად. 2007

მიხეილ მცურავიშვილი შვილიშვილებთან ერთად. 2012

მიხეილ მცურავიშვილი შვილიშვილებთან ერთად. 2018

ნინო და თამარ მცურავიშვილები შვილებთან – ნიკოლოზ ქუთათელაძესთან, მიქაელ და დავით ხარაძეებთან ერთად. 2019

მიხეილ მცურავიშვილი და ანზორ ერქომაიშვილი. 2018

სტუმრად მიხეილ მცურავიშვილთან სოფელ მეჯვრისხევში.
2017

ფონდ „ქართული გალობის“ მიერ მიხეილ მცურავიშვილის
დაჯილდოება ქართული სიმღერის აღდგენა-
პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის. 2015

მიხეილ მცურავიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, ვახტანგ ფილფანი, ჯემალ ჭკუასელი. სვანეთი. 2017

მიხეილ მცურავიშვილის აუდიოალბომი „ჩემი სიმღერა“. 2017

მიხეილ მცურავიშვილის აუდიოალბომის პრეზენტაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოგადაცემაში „ხაზის რადიო“, ლალი სეთურიძესა და ეკა ტალახაძესთან ერთად. 2017

მოგონებები

ღვთაებრივი ნიჭით მირონცხებული მომღერალი

რა ბედნიერებაა, რომ ქართულ სიმღერას ჰყავს მიშა მცურავიშვილი – ღვთაებრივი ნიჭით მირონცხებული იშვიათი მომღერალი და შესანიშნავი ლოტბარი. სიმღერა მიშას ყოველდღიურისაზრუნავია. იგი არიშურებს ძალასადაენერგიას, მოიძიოს, აღადგინოს და თავის ანსამბლებს შეასწავლოს სხვადასხვა უნიკალური ვარიანტი. მის მიერ შექმნილი გუნდები თუ ანსამბლები გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმითა და განსხვავებული მუსიკალური ხელწერით. მიშა მცურავიშვილი მაღალი კლასის ლოტბარია. რაც შეეხება სიმღერას, მას აქვს ულამაზესი ტემბრის კოლორიტული ხმა არაჩვეულებრივი, მაღალი რეგისტრით, რომელსაც იგი სრულყოფილად ფლობს და აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი სასიმღერო მანერა. გარდა ხალხური სიმღერებისა, მიშა არაჩვეულებრივად ასრულებს როგორც ქალაქურ სიმღერებს, ისე კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მის მიერ ჩაწერილი ბევრი სიმღერა განუმეორებელი და სამაგალითოა. ბედ-ნიერად მივიჩნევ თავს, რომ მიშა მცურავიშვილთან ახალ-გაზრდობიდან ვმეგობრობ. ჩვენ ერთად ვმღეროდით კონსერ-ვატორიის ანსამბლ „გორდელაში“, ამიტომ მომსწრე ვარ მისი არაჩვეულებრივი წარმატებისა როგორც ჩვენში, ასევე – უცხოეთში. ვამაყობ, რომ ვარ მისი მეგობარი და ვფიქრობ, შთამომავლობას სამაგალითოდ დარჩება მიშა მცურავიშვილის სიმღერაში გასხივოსნებული უნიკალური ხმა. მიშამ თავისი სიმღერით ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა: იგი ნამდვილი დიდოსტატია, მისი ნამღერი ვარიანტები სა-მაგალითოა ყველა მომღერლისათვის.

მიშა მცურავიშვილი, ნიჭიერებასთან ერთად, იშვიათი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული კაცია, ენერგიული, სიცოცხლითა და იუმორით სავსე. ჰყავს მეგობართა ფართო წრე.

განუზომელია მიშას ამაგი ქართველი ხალხის წინაშე. იგი თავისი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობს და თავდაუზოგავად ემსახურება ქართულ კულტურას.

ჩემო მიშა, შენ ღირსეული პიროვნება ხარ. ამიტომ დაიმსახურე ხალხის სიყვარული. მე, პირადად, ქედს ვიხრი შენი მაღალი ხელოვნების წინაშე, ღმერთმა „მრავალჟამიერი“ ნუ მოუშალოს შენს ძესა და მომავალს. ამინ!

ანზორ ერქომაიშვილი
მომღერალი, ლოტბარი,
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

სადაც უმღერია, ყველგან და ყოველთვის გამორჩეული იყო!

მიშა მცურავიშვილთან თითქმის სამოცწლიანი მეგობრობა მაკავშირებს; ყოველთვის გაოცებული და აღტაცებული ვიყავი მისი მრავალმხრივი ნიჭიერებით, ასე გულუხვად და უშურველად რომ უბოძა უფალმა: გამორჩეული სილამაზისა და სიმძლავრის ხმა, ქართული სიმღერის საფუძვლიანი და სიღრმისეული ცოდნა, პროფესიული განსწავლულობა და დიდი პედაგოგიური ნიჭი, რამაც ის მრავალი თაობის აღმზრდელ, ბრწყინვალე და ამაგდარ ლოტბარად ჩამოაყალიბა. ახალგაზრდობიდანვე იცოდა, რომ უფლის ეს საჩუქარი თავისი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა გამოეყენებინა და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირნათლად და ღირსეულად შეასრულა ეს საპატიო მისია.

სადაც უმღერია, მას ყველგან და ყოველთვის გამორჩეული სოლისტისა და ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია ეკავა, იქნებოდა ეს სახელოვანი ანსამბლი „გორდელა“ მისი მეგობრის, დიდი მაესტროს, ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით, ვოკალური ანსამბლი მამია ხატელიშვილის ხელმძღვანელობით თუ კვარტეტი „ფიროსმანი“. სხვათა შორის, ამ დიდებულ კვარტეტში სწორედ მიშას მიწვევით ერთი წელი მეც მქონდა

უდიდესი პატივი და ბედნიერება, მემღერა ბრწყინვალე მომღერლების – მიშა მცურავიშვილის, ნიკოლოზ კაპანაძისა და ომარ ჩიტაიას გვერდით და ამისთვისაც დიდი მადლობა მიშას, ისე, როგორც დიდი მადლობა იმ ფასდაუდებელი მასტერკლასებისათვის ქართულ ფოლკლორში, რასაც მთელი ახალგაზრდობა მიტარებდა. მას ყოველთვის შესანიშნავად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ფასდაუდებელი ეროვნული საუნჯის – ქართული ხალხური სიმღერის მსახურია და თავის ზღვა ენერგიას, სულსა და გულს არ იშურებდა, რომ როგორც მომღერალს, ეს საუნჯე ღირსეულად წარმოეჩინა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. აქ, სამშობლოში კი, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდისათვის გადაეცა ეს სიყვარული და პროფესიული გამოცდილება. საბედნიეროდ, ეს ყოველთვის ჩინებულად გამოსდიოდა და გამოსდის დღესაც, რადგან მიშას არც მჭევრმეტყველება აკლია, არც გონიერება და არც იუმორი.

მჯერა, კიდევ მრავალ თაობას აღზრდის ამ სულისკვეთებით და შეახსენებს, ვისი გორისანი არიან, რა საუნჯეს ფლობენ ქართული ფოლკლორის სახით და როგორი რუდუნებით უნდა მოუარონ ამ განძს, რათა სული გადაირჩინონ.

ჩემო მიშა, ვამაყობ, ძმაო, და უფალს ვთხოვ, დღეგრძელობა და ჯანმრთელობა მოგცეს, რათა კიდევ დიდხანს ემსახურო შენს კეთილშობილურ და საყვარელ საქმეს.

ჯემალ ბაღაშვილი

მუსიკოსი, საქართველოს დამსახურებული არტისტი

თავმდაბალი, სიკეთით სავსე ადამიანი

თუ გადავხედავთ ქართველთა ეროვნულ ტრადიციებს და კულტურას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ხალხურ სიმღერასა და გალობას უჭირავს. ჩვენი სიამაყე სწორედ ჩვენი ტრადიციული ქართული სიმღერაა, კოსმოსურ სივრცეს ჰარმონიულობას რომ ანიჭებს.

ჩემი ცხოვრება, ბავშვობიდან დღემდე, ჩინებულ მომღერალ-

თა გარემოცვაში გავატარე. მამაჩემი და ჩემი უფროსი ძმა დიდებულად მღეროდნენ, ჩემი მეგობრებიც ცოცხლობდნენ და ლაღობდნენ ქართული სიმღერით. ყველა მათგანი სიბრძნით, ზნეობით, ღირსებით გამოირჩეოდა, რითაც ძალიან ვამაყობ.

ჩემს მეგობართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მიხეილ (მიშა) მცურავიშვილს, რომელიც საოცრად ნატიფი, მომხიბვლელი ხმითა და სირინოზული სიმღერა-გალობით ზნეობრივად სრულყოფს და ესთეტიკური გრძნობებით აღავსებს მსმენელს.

მიშა მცურავიშვილი ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია, არავის ესხმის თავს ხმლითა და ხანჯლით, სულიერი ძალით აღვსილი ისე ტკბილად ღიღინებს, არა მარტო მტერს აგებინებს ქარქაშში ხმალს, არამედ მთელი სამყაროს სულიერ არსებებს, იქნება ეს ფრინველი, ცხოველი თუ ადამიანი, სიკეთისა და ამაღლებული სივრცისკენ წარმართავს.

როგორც პიროვნება, მიშა ერთობ თავმდაბალი, სიკეთით აღვსილი ადამიანია, რომლისთვისაც უცხოა შური; იგი ხარობს სხვათა წარმატებით და ხელს უწყობს ნიჭიერ ადამიანებს, წამოწევს მათ და ამით ამაყობს. ამიტომ მის გუნდში ნახავთ მსახიობს, ფილოლოგს, ინჟინერსა თუ მათემატიკოსს, რომელთაც, გარდა სმენისა და სიმღერის ნიჭისა, აერთიანებთ ძლიერი და უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსა და ქართული ტრადიციებისა.

მიშას სწამს, რომ ქართველთა მეგობრობა უძლიერესი ძალაა, უსაზღვრო სიყვარულით რომ საზრდოობს. ამიტომაც არის იგი ჩინებული მეგობარი, უღალატო ადამიანი და ცდილობს, ყველა ქართველი ამ სულით გააძლიეროს, რის გარეშეც არც სიმღერას აქვს ფასი და არც – სიცოცხლეს.

მარად ასეთი იყავი, ჩემო ძმაო! იცოცხლე, იმღერე, სხვებიც ამღერე და ამ სიმღერით ყველა ქართველი კაცად აქციე, სწორ გზაზე დააყენე!

ელიზბარ ჯაველიძე
პუბლიცისტი, ფილოლოგი

ძნელია, მისი ხმა სხვის ხმაში აგერიოს...

მახსოვს, ზაფხული იყო. მე და მამა აივანზე ვისხედით და, როგორც ყოველთვის, მონუსხული ვისმენდი მის საუბარს. ცხელოდა. ფანჯრები ყველას ღია ჰქონდა. ერთ-ერთი ბინიდან, სადაც რადიო იყო ჩართული, ქართული ხალხური სიმღერა „ბერიკაცი“ გაისმა. მამა გაჩერდა, ცოტა ხანს უსმინა და სახეზე სიამოვნების ნათელი მოეფინა. მკითხა, იცი, ვინ მღერისო? დარცხვენილმა ვუპასუხე, ვერ ვიცანი, მაგრამ ძალიან კარგი რომ არის, ამას მივხვდი-მეთქი. ეს მიშაა, მცურავიშვილი და თუ კიდევ რამდენიმე ნამღერს მოისმენ, ასეთ პასუხს არასდროს გამცემ, ის არავის ნამღერში არ შეგეშლებაო. მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი. რა თქმა უნდა, დავინტერესდი. რაც უფრო მეტს ვისმენდი, მით მეტად ვიხიბლებოდი და ვრწმუნდებოდი მამას ნათქვამის სიმართლეში მისი ულამაზესი ხმის, ტექნიკისა და ალბათ ყველაზე მთავრის შესახებ – სიმღერა იცის და მერე როგორ იცისო!

მართლა ძნელია, ბატონი მიშას ხმა სხვა ხმაში აგერიოს. ხალასი ტემბრი, ხან თბილი, ხანაც ძლიერი და მუდამ ახალგაზრდული.

წლებთან ერთად ამ მუსიკოსს ახალ-ახალი წახნაგით ვხედავდი. ძალზე საინტერესოა მის მიერ შესრულებული ქალაქური სიმღერები დუდუკის თანხლებით. აქ სრულიად განსხვავებულად წარმოჩნდება მისი საშემსრულებლო ტექნიკა, რაც მხოლოდ მისეულია. ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა მასთან საუბარი. ის ქართული მუსიკალური ხელოვნების – როგორც ხალხური, ისე კლასიკური ვოკალური ნიმუშების შესანიშნავი მცოდნეა და სწორედ მასთან საუბრები თამამად მათქმევინებს, რომ მიხეილ მცურავიშვილი ქართული სიმღერის ნამდვილი მემატიანეა!

ერთიც მინდა ვთქვა – მისგან სწავლობ, თუ როგორ უნდა გიყვარდეს საქმე, რასაც ემსახურები, როგორ უნდა აფასებდე ნიჭიერებას, კოლეგებს და როგორ უნდა გადასცე ეს სიყვარული მომავალ თაობას.

დიდი მადლობა ბატონ მიშას მისი მოღვაწეობისთვის. ვუსურვებ, ძალიან დიდხანს ჟღერდეს და გვატკბობდეს მისი უბერებელი ხმა.

თამარ ჭოხონელიძე
მომღერალი, მუსიკათმცოდნე

მამა არის ადამიანი დღესასწაული!

მახსოვს, ჩემს ბავშვობაში მამა ისეთი პოპულარული იყო, მაღაზიასა და ქუჩაში ხალხი ცნობდა და დიდ სითბოს გამოხატავდა მისდამი. ერთგვარად, არც მიყვარდა მასთან ერთად ქუჩაში გასვლა, რადგან ძალიან ბევრი ნაცნობი თუ უცნობი გვხვდებოდა და დანიშნულების ადგილზე ყოველთვის ვაგვიანებდით.

გონებით მუდამ თავის საქმეში იყო ჩართული. ამის გამო, ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, რომ გასტროლის დროს ჩანთა დარჩენია ხან სად და ხან – სად. დედა ხუმრობით ამბობდა, ბავშვები რომ გავატანო, შეიძლება სადმე დარჩესო...

ზოგადად, ძალიან არტისტული პიროვნებაა, ამასთან ერთად, შესანიშნავი მთხრობელი, საოცრად კითხულობს ლექსებს, უკრავს სხვადასხვა ინსტრუმენტზე... აქედან გამომდინარე, მის ირგვლივ ყოველთვის პოზიტიური განწყობაა. შეიძლება ითქვას, მამა არის ადამიანი დღესასწაული!

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი საოცარი მეხსიერება. ზეპირად ახსოვს ყველა ღირსშესანიშნავი თარიღი, ნათესავების, მეგობრების, ნაცნობების დაბადების დღეები, ტელეფონის ნომრები. ზეპირად იცის ყველა კლასიკური ნაწარმოების ტონალობა, ყველა სიმღერის ტონი... 80 წლის ასაკშიც კი მარტივად იზეპირებს ლექსებს და უამრავ წიგნს კითხულობს. ხშირად ვხუმრობ, რომ ქართული მუსიკის ისტორიას ზღაპარივით მიყვებოდა და ისე ვისწავლე.

მამასთან შემოქმედებითი ურთიერთობაც მაკავშირებს. კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში მისი ანსამბლების

უცვლელი კონცერტმაისტერი ვიყავი. მინახავს, როგორ მუშაობდა მედუდუკეთა ანსამბლთან. ეს ცალკე ხელოვნებაა! ეს საკრავი მამას შინაგანთან იყო შერწყმული, რაც მის დუდუკით თანხლებულ სიმღერებში ძალიან კარგად იგრძნობა. ისინი ნამდვილი შედევრებია!

მახსოვს, როგორ შექმნა ერთ წელიწადში 50-კაციანი გუნდი „შარავანდი“ და ფილარმონიაში სოლო კონცერტი გამართა. ეს იყო 1992 წელს. ის კონცერტი ნამდვილი დღესასწაული იყო.

მინახავს, როგორი ენთუზიაზმით მიჰყავდა ევროპის ფესტივალებზე ფოლკლორული ანსამბლები და უცხოელებს აცნობდა ჩვენს საგანძურს, მაშინ, როცა მსოფლიო ისე კარგად არ იცნობდა ჩვენს ფოლკლორს, როგორც დღეს.

მამამ თავი მთლიანად ქართულ სიმღერას მიუძღვნა. მას საოპერო მომღერლის კარიერასაც სთავაზობდნენ, მაგრამ ხალხური მომღერლობა არჩია.

თამარ მცურავიშვილი
მუსიკოსი

რაც მან იმღერა, ვერავინ გაიმეორა!

ბატონი მიშა სტუდენტობიდან მახსოვს, როცა მამია ხატელიშვილთან ერთად ვაჟთა ვოკალურ კვარტეტში მღეროდა.

შეიძლება ადამიანს ჰქონდეს ხმის დიდი დიაპაზონი, მაგრამ მისი არცერთი ბგერა არ იყოს სასიმღერო; მღეროდეს მელოდიურად, მაგრამ სიმღერა მარტო მელოდია არ არის, სხვა რამეა. მაგალითად, ჰამლეტ გონაშვილს არ ჰქონდა დიდი დიაპაზონი, მაგრამ ისე მღეროდა, მიცვალებულსაც გააცოცხლებდა... ამის თქმა ბატონ მიხეილზეც შეიძლება: რაც მან იმღერა, ვერავინ გაიმეორა!

ნუგზარ კურცხალია
ანსამბლ „ერისიონის“ სოლისტი

განსაკუთრებული ნიჭიერებითა და თავმდაბლობით გამორჩეული ადამიანი

მიშა მცურავიშვილს დიდი ხანია ვიცნობ. ჩვენი ურთიერთობა 60-იანი წლებიდან დაიწყო, როცა ის „გორდელაში“ მღეროდა.

1968 წელს ანსამბლი „გორდელა“ მიწვეული იყო მსოფლიო სტუდენტი-ახალგაზრდობის IX ფესტივალზე ბულგარეთში. მაშინ საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ქართული დელეგაციის ერთადერთი წარმომადგენელი ვიყავი.

მიშა მცურავიშვილმა ჩემი ყურადღება თავისი ხმით, თბილი, ტკბილი ტემბრით მიიპყრო. ის განსაკუთრებული ნიჭიერებითა და თავმდაბლობით გამოირჩეოდა.

მას შემდეგ მიშა ბევრ ანსამბლში მიხილავს. ბოლო პერიოდში გორში მოღვაწეობდა და ვიცი, რომ ყოველთვის წარმატებით ართმევდა თავს საქმეს.

მიშა მცურავიშვილი ადამიანური თვალსაზრისითაც ბრწყინვალე პიროვნებაა, რომელზეც მხოლოდ კარგი შეიძლება თქვა.

როინ მეტრეველი
ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე

ქართული სიმღერის ამაგდარი

მიშას ახალგაზრდობიდან ვიცნობ, მამია ხატელიშვილის კვარტეტში რომ მღერდა, იმ დროიდან. ეს ჯგუფი ძალიან პოპულარული იყო და საინტერესო შემსრულებლებით გამოირჩეოდა. მათი რეპერტუარიდან განსაკუთრებით მომწონდა არჩილ ჩიმაკაძის სიმღერა „ფიროსმანი“ ამავე სახელწოდების სპექტაკლიდან.

მას შემდეგაც სულ ვადევნებდი თვალს მიშას მოღვაწეობას, თუმცა ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა მხოლოდ 1998 წელს შედგა.

მე ჩემი კაპელის სოლო კონცერტი მქონდა. მიშამ ძალიან მთხოვა, ნიკო სულხანიშვილის „გუთნურს“ შევასრულებო. მეც დავთანხმდი. შედგა კონცერტი და მისი შესრულება ძალიან ორიგინალური გამოვიდა. საქმე ისაა, რომ მანამდე ამ ნაწარმოებს ყველა აკადემიურად ასრულებდა, მიშამ კი ხალხური მანერით იმღერა. ეს იყო „გუთნურის“ ყველაზე საინტერესო შესრულება ჩემთვის. უნდა აღვნიშნო, რომ კონცერტის დღეს ის ავად იყო, მაგრამ მაინც შესანიშნავად იმღერა.

ეს არის ამაგდარი კაცი ქართული ხალხური სიმღერისა. როგორც ამბობდა, ბავშვობიდან მოვიწამლე ხალხური სიმღერით და კაცი რომ მოიწამლება, მისი განკურნება ძნელიაო.

მიშას განსაკუთრებული ამაგი აქვს გორის გუნდზე. თავისი შემოქმედებით მან თითქოს ვალი გადაუხადა მშობლიურ კუთხეს. რაც მიიღო მისგან, ასე ლამაზად დაუბრუნა...

განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში მიშას იუმორი, რომელიც ძალიან ალამაზებს მის პიროვნებას. მოგეხსენებათ, ქართლელებს არ უქებენ იუმორს, მაგრამ მიშა ისე ოსტატურად გაიხუმრებდა და ლამაზად ჩაურთავდა ხუმრობას საუბარში, მიკვირდა, საიდან ჰქონდა ქართლელ კაცს ეს კახურ-გურული იუმორი.

მიშას არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავს. ჩვენი შვილები მეგობრობდნენ და ვიცნობდი მის ოჯახსაც. ის არის ქართველი კაცის კარგი მაგალითი, რომელიც საქართველოს სჭირდებოდა, სჭირდება და ყოველთვის დასჭირდება.

გივი მუნჯიშვილი

ლოტბარი, დირიჟორი, პედაგოგი, პროფესორი,
საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს ეროვნული
საგუნდო კაპელის საპატიო ხელმძღვანელი

ის ხმით, მართლაც, ქარგავს სიმღერას!

ხაზის რადიოს ერთ-ერთი გადაცემის ბოლოს გავაჟღერეთ „მრავალჟამიერი“ მიხეილ მცურავიშვილისა და თემურ ქევ-

ხიშვილის შესრულებით ანსამბლ „გორდელასთან“ ერთად. მონუსხული ვუსმენდით გადაცემის წამყვანები – მე და ეკა ტალახაძე, მოხიბლული რადიომსმენელების ზარები არ წყდებოდა; გადაცემას ვეღარ ვამთავრებდით. მაშინ თითქოს კიდევ ერთხელ აღმოვაჩინე ჩვენი ოჯახის უახლოესი ადამიანი – მიშა მცურავიშვილი. აღარაფერს ვამბობ თემურ ქევხიშვილზე – მართლაც, საუკუნის ხმაზე... მიშა რომ დიდი მომღერალი იყო, როგორ არ ვიცოდი, მაგრამ ამ „მრავალჟამიერმა“ კიდევ ერთხელ მაგრძნობინა, მსმენელთან ერთად, დიდი ხელოვნების ძალა. ამ ორმა დიდმა ხელოვანმა მადლიანი კახური მიწის სურნელი შეგვაგრძნობინა.

მორიგი გადაცემა სწორედ მიხეილ მცურავიშვილს მივუძღვენით. რადიომსმენელი არ ჩერდებოდა და შემდეგი ორი გადაცემაც მიშას დავუთმეთ. ხალხური სიმღერების გარდა, მსმენელს ძალიან მოსწონდა მის მიერ შესრულებული საკომპოზიტორო თუ ქალაქური სიმღერები.

საინტერესოა, რომ თვითონაც ქმნიდა მელოდიებს. ერთ-ერთი ძალზე პოპულარული და ხალხის საყვარელი სიმღერა „დუდუკო, ჩემო“ მიშას შექმნილია. ერთი გადაცემა სწორედ დუდუკის რეპერტუარს და ბაიათებს დავუთმეთ მიშას შესრულებით და დავრწმუნდი – ის ხმით, მართლაც, ქარგავს სიმღერას.

მიხეილ მცურავიშვილმა კონსერვატორიაში ჩაბარებამდე ფილოლოგიური განათლება მიიღო, ამიტომ ძალიან კარგად ერკვევა ქართულ მწერლობაში და არა მარტო... ის მრავალმხრივ განათლებული და საინტერესო პიროვნებაა, თავისი ფენომენური მეხსიერების წყალობით ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევდა. ჩვენი გადაცემები საარქივო მასალის გამომზეურებას და ხელახლა შეცნობას ისახავდა მიზნად. მიშა ამაში შეუდარებელი იყო. ის უტყუარი ცოდნითა და ალღოთი მაშინვე შეიცნობდა ჩვენთვის უცნობ, მივიწყებულ ამა თუ იმ შემსრულებელს, კოლექტივს ან ლოტბარს. დაუზარლად ჩამოდიოდა მეჯვრისხევიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტით და უაღრესად საინტერესო მოგონებებით, მასალის ღრმა

ცოდნით გვამდიდრებდა ჩვენც და რადიომსმენელსაც. მსმენელმა გულწრფელად შეიყვარა არაჩვეულებრივი მაესტრო და საოცრად თბილი სიტყვებით ამკობდა მას.

„ბულბული ყველას მოსწონს, მაგრამ არავის უკითხავს, ვინაა მისი მასწავლებელი“, – ანზორ ერქომაიშვილის „ნაფიქრალების“ ეს სიტყვები მახსენდება, როცა მიშაზეა საუბარი. ის ულამაზესი და უნიჭიერესი ხალხის გარემოცვაში, შეიძლება ითქვას, სიმღერის მექაში, ქართლის ნაყოფიერ მიწაზე, ულამაზესი ბუნების წიაღში ეზიარა სიმღერის მადლს.

ჩვენს ქვეყანაში თითქოს სიმღერის ნიჭით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ბატონი მიშა მაინც იმ მომღერალთა რიცხვს ეკუთვნის, ვისი უნიკალური ხმაც ფეხზე წამოგაყენებს და აღფრთოვანებას ვერ დამალავ.

ანზორი ძალიან აფასებდა მიშას. ამბობდა, ხმაში მეტალი აქვსო. მოგეხსენებათ, ამას რომ იტყვიან, უკვე გასაგები ხდება, ვისთან გვაქვს საქმე.

მიშა პედაგოგიური ნიჭითაც გამოირჩევა, მას მთელი პლეადა ჰყავს აღზრდილებისა. დღესაც ანსამბლ „მართვეს“ უწევს კონსულტაციას, ქართლური სიმღერის შესრულების მანერას აზიარებს მოზარდებს...

ამავე დროს, მიშა დიდი მეურნეა, რანაირ ხეხილს არ ნახავთ მის სათუთად მოვლილ ბაღში. იშვიათი მასპინძელია თავის შესანიშნავ ქალიშვილებთან, ნიჭიერ მუსიკოსებთან, ნინოსა და თამართან ერთად.

ძალიან მცირე ნაწილია შემორჩენილი იმ სახელოვანი პლეადიდან, ვინც სათუთად ინახავს და უფრთხილდება თაობათა დანატოვარ საგანძურს.

ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ მიშას თავის შესანიშნავ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად!

ლალი სეთურიძე
მუსიკათმცოდნე,
რადიოგადაცემა „ჩაკრულოს“ პროდიუსერი

მაესტრო მიშას ღვაწლი ნამდვილად ფასდაუდებელია!

ჩემთვის დიდი პატივი და საჩუქარია, რომ მოვასწარი მაესტროსთან მეგობრობა, ასე ვეძახდით მას ანსამბლ „შარავანდის“ მომღერლები. გასული საუკუნის 90-იან წლებში ცხონებულმა გურამ ფანჯიკიძემ ჩამოაყალიბა დავით აღმაშენებლის საზოგადოება და მასთან დაარსდა მომღერალ ვაჟთა ანსამბლი „შარავანდი“. 50 ახალგაზრდა შეგვარჩიეს, დაგვინიშნეს საკმაოდ კარგი ხელფასი და ხელმძღვანელობა ჩააბარეს ბატონ მიშას, რომელმაც უცებ მოიფიქრა ასეთი ვარიანტი: სვანური სიმღერების მასწავლებლად – ისლამ ფილფანი, ხოლო გურულ-მეგრული სიმღერების მასწავლებლად ოთარ ბერძენიშვილი მოიწვია. თვითონაც მშვენივრად გაართმევდა თავს ყველაფერს, მაგრამ ძველი მეგობრობის გაგრძელება და, ამავე დროს, მეგობრების ფინანსური კეთილდღეობაც არ იქნებოდა ცუდი. მისი და მამაჩემის, ისლამ ფილფანის, მეგობრობა სამაგალითო მეგობრობად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ბუნებამ ორივე განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით დააჯილდოვა. განგებამ ისინი ერთმანეთს შეახვედრა თბილისში, მუსიკალური განათლების მისაღებად ჩასულები. სწავლა მოუწიათ ერთსა და იმავე სასწავლებელში და ცხოვრება – სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში. ისინი ერთად მღეროდნენ მამია ხატელიშვილის „შვიდკაცაშიც“.

მამას მონაყოლიდან მახსენდება ერთი ამბავი, რომლის დავიწყებაც არაფრით არ შეიძლება: შაბათ-კვირას დედაქალაქთან შედარებით ახლოს მცხოვრები ყველა სტუდენტი მიდიოდა შინ. გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში მცხოვრები მაესტრო მიშაც, ბუნებრივია, მიდიოდა დედასთან და თან მიჰყავდა მამაჩემიც, რადგან სვანეთში წასვლა, სიშორის გამო, შეუძლებელი იყო. ერთხელ რატომღაც არ გაჰყოლია მამა. ორშაბათს თბილისში ჩამოსულ, ჩვეულებისამებრ, სურსათ-სანოვაგით დატვირთულ მიშას უთქვამს, დედაჩემმა სასტიკად გამაფრთხილა, ისლამის

გარეშე აღარ დაგინახო ჩამოსულიო. ასე რომ, იმ მძიმე წლებში მამაჩემსა და მიშაზე ერთნაირად ზრუნავდა ცხონებული ქალბატონი ნინა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში კირილე ვაშაკიძის მიერ ჩამოყალიბებულ ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრში, რომლის დირიჟორი და სოლისტი გახლდათ მაესტრო მიშა, უკრავდა ჩემი გამზრდელი მამიდა ნათელა ფილფანი. მისგან მაქვს უამრავი ინფორმაცია იმ წარმატებული გასტროლებისა და კონცერტების შესახებ, სადაც მაყურებელი ტაშითა და ცრემლით გამოხატავდა ემოციას. თითქმის შეუძლებელი ხდებოდა კონცერტის დამთავრება, იმდენჯერ იხმობდნენ ბისზე ამ უნიჭიერეს სოლისტსა და მის ანსამბლს.

ძალიან კარგად მახსენდება მასთან ერთად ქართულ სუფრასთან მოლხენა, უამრავი საინტერესო ისტორია თუ საოცარი იუმორით გაჯერებული წუთები, შეუდარებელი თხრობის მანერა და, რა თქმა უნდა, ულამაზესი ხმით შესრულებული სიმღერები. განსაკუთრებით – „ანანურს ციხევ ნაგებო“, „სიმღერა მეგობრობაზე“ კინოფილმიდან „კეთილი ადამიანები“, რევაზ ლაღიძის სიმღერები...

მაესტრო მიშას ღვაწლი ნამდვილად ფასდაუდებელია. მიხარია, რომ კვლავ აგრძელებს აქტიურ მოღვაწეობას. მისი გემოვნება, სტილი და შესრულების დონე ნამდვილად მაღალი თამასაა ახალგაზრდა კოლეგებისთვის. იმედია, კიდევ ბევრს მიეცემა საშუალება, გაიაროს მაესტროს სკოლა და მისი გაზრდილი პროფესიონალები კვლავ წარმატებით იღვაწებენ როგორც საქართველოში, ისე – უცხოეთში.

ვუსურვოთ მაესტრო მიშას ჯანმრთელობა, მშვიდობა, აქტიური და წარმატებული ცხოვრება!

ვახტანგ ფილფანი

მომღერალი, ლოტბარი, მესტიის სიმღერისა და ცეკვის
რეგიონულ ანსამბლ „რიჰოს“ ხელმძღვანელი

მაესტრო მიხო

მიხეილ მცურავიშვილზე საუბარი აკადემიზმის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ ვერც იმ უშუალობას შეველევი, ასე მოხერხებულად რომ შემოჰქონდა ყოველ ჯერზე ჩვენს რადიოსტუდიაში. ამიტომ მომიტევეთ და რადგან თავის დროზე თავადაც მომცა ამის თავისუფლება, სადაც დამჭირდება, ასე მოვიხსენიებ – ძია მიშა.

ბევრი გადაცემა დაგვიგროვდა გასახსენებლად. რაც დრო გადის, მით უფრო მაოცებს ძია მიშას ფენომენური მეხსიერება. წარმოუდგენელი სიზუსტით აღწერილი ძველი და ახალი ამბები, მოვლენები, ადამიანები, პროფესიული თუ ყოფითი დეტალები... დეტალები იმდენად ზუსტი, რომ სრული სურათისა და განწყობილებისათვის ისიც კი შეიძლება გაგიზიაროს, თუ როგორი ამინდი იყო იმ ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩაიწერა „ანანური“, „ზამთარი“, „ისევ შენ და ისევ შენ“, „დუდუკო, ჩემო“ და ბევრი, ბევრი სხვა. იმდენად ბევრი, რომ საქართველოს რადიოს პირდაპირ ეთერში მისი აუდიოალბომის წარდგენისას სრული 45 წუთი ლამის 45-წამიან გაელვებად იქცა. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოუდგენელია, მიხეილ მცურავიშვილის შემოქმედების მასშტაბი ერთ რომელიმე გადაცემაში მოაქციო.

ნოდარ ანდღულაძე მირჩევდა, ვოკალისტი გახდიო, გვითხრა ერთხელ. მაშინ ამბის სმენას და მის ფოლადნარევ ხმას კი შევყევი გონების თვალით, მაგრამ მერე ქართული ფოლკლორი წარმოვიდგინე ძია მიშას გარეშე და ვეებერთელა ადგილი დაცარიელდა. ტყუილად კი არ წერდა ბატონი ანზორ ერქომაიშვილი მისი აუდიოალბომის „ჩემი სიმღერა“ ანოტაციაში: „რა ბედნიერებაა, რომ ქართულ სიმღერას ჰყავს მიშა მცურავიშვილი. ღვთაებრივი ნიჭით ნიშანდებული, იშვიათი მომღერალი და შესანიშნავი ლოტბარი“. შეგნებულად აღარ გავიხსენებ ანსამბლებსა და შემოქმედებით კოლექ-ტივებს, რომლებიც სწორედ მიხეილ მცურავიშვილს უნდა უმადლოდნენ საოცარ მუსიკალურ გზას. მირჩევნია, ჩემი სტუდიის თავგადასავლებით შემოვიფარგლო, რაც ძია მიშას

განსხვავებულად დაგანახებთ. ასე, მაგალითად. მსმენელი მის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ პატივისცემასა და სიყვარულს ამჟღავნებდა. ფრაზებად გეტყვით:

„რას მერჩით? სამსახურში დამაგვიანდა! ვდგავარ და გაფაციცებით ვუსმენ თქვენს სტუმარს!“

„ბატონი მიშას სიმღერები საქართველოს რადიოს გადაცემებს შორის მარგალიტებად უნდა გააბნიოთ!“

„ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, სხვა გადაცემას ვეღარაფრით მოვისმენ!“

და ბევრი მსგავსი და უკეთესი, მაგრამ ახლა სწორედ იმ ფრაზას გაგიზიარებთ, რომელიც ამ წერილის სათაურად გამოვიტანე და ყველაზე ძვირფასი ძეგლია, რაც კი შეიძლება მსმენელმა დაუდგას შემოქმედს – „მაესტრო მიხო, თქვენი „ანანური“ ყოველ დილით, ჰიმნის შემდეგ უნდა ისმოდეს ეთერში!“ შემორჩა ეს სახელი მიხეილ მცურავიშვილს, ყოველ მომდევნო გადაცემაში ერთი მსმენელი მაინც დარეკავდა და ასე მიმართავდა: „მაესტრო მიხო!“

აბა, მაესტრო როგორ არ არის?! მე რომ აკადემიზმი და პროფესიონალიზმი ვახსენე, ამის დასტურად ერთ ამბავს მოვიშველიებ. „ანანურის“ ჩაწერის დეტალებს იხსენებდა. ჩემამდე როსტომ საგინაშვილი კუპლეტური ფორმით მღეროდა და სულ სხვაგვარად ისმინებოდა. მერე არჩილ ჩიმაკაძემ დამიძახა, შესრულება შემომთავაზა და მომასმენინა კიდეცო. აი, აქ ხდება ზუსტად ის გარდატეხა, რაც ძია მიშას მიხეილ მცურავიშვილად – ლოტბარად, მომღერლად, პროფესიონალად აქცევს და გააგრძელებს – გადავირიე! სამ ადგილზე ოთხი სეკუნდაა დალაგებული. ბანს აქვს სოლი, ბარიტონს აქვს ლა, მეორე ტენორს აქვს სი, დო დიეზი აქვს პირველ ტენორსო. ამ მონაკვეთს განსაკუთრებულად ვუფრთხილდები. მგონია, რომ მუსიკალური განათლების მქონე მსმენელი ხომ მიაყოლებს ყურს და გონებას აკორდის დასასმელად, მაგრამ არც არაპროფესიონალი დარჩება გულგრილი, ხმაში საქმის ერთგულება, თავდადება, უზადობა ჩანს და იმიტომ!

გამართული ქართულით საუბარი მისი პროფესიის

დამსახურებაა. ფილოლოგია. ლექსისთვისაც ხშირად მიუმართავს სათქმელის გასამძაფრებლად. ერთხელ სინანულით თქვა, ამხელა მომღერალი იყო ილო კაპანაძე და ძეგლი არ აქვსო. შოთა ნიშნიაძეს დაესესხა:

„ყველა ღირსეულს ქვეყნად ძეგლი რომ ღირსებოდა,
მაშინ მსოფლიო სასაფლაოდ გადიქცეოდა...“

ძია მიშა, ძეგლი მხოლოდ ქვაში ნათალი პატივისცემა როდია? ძეგლი თქვენი ცოდნა, თქვენი გამოცდილება, თქვენი თანაგანცდა და ის სიკეთეა, ახლა რასაც მოვყვები.

კალენდარზე 2017 წლის 4 აპრილია. „ხაზის რადიოს“ ეთერში მიხეილ მცურავიშვილის ალბომის წარდგენა გვაქვს. გადაცემას ქალბატონ ლალი სეთურიძესთან ერთად ვუძღვები და აუდიტორიაც გვიკავშირდება. მათ შორის იყო ჩვენი უერთგულესი მსმენელი თუშეთიდან, რომელმაც დისკის შეძენის სურვილი გამოთქვა. მე მოგართმევთო, ძია მიშამ. არა, რას ამბობთ, მაგ მოწამლულ ქალაქში რა ჩამომიყვანსო? – უთხრა მსმენელმა. არა, ქალბატონო, მე მოგართმევთ და, საერთოდ, ყველას გაჩუქებთ, ვისაც გსურთო... გადაცემის დასასრულს ვეებერთელა სია მეჭირა ხელში, ხოლო ძია მიშას სიკეთის ქისა კიდევ ერთი კენჭით „დამძიმდა“.

ასე დავასრულოთ.

1972 წელს კონსერვატორიის კურსდამთავრებული მიხეილ მცურავიშვილი რევაზ ლაღიძის ერთ-ერთ ადრეულ სიმღერას შეასრულებს და მაშინვე მიიქცევს აუდიტორიის ყურადღებას. ნახევარ საუკუნეზე მეტია ისევ ამ მუხტით, ამ შემართებითა და ხმაში ფოლადით მღერის:

„შენი მადლია, ჩემო ქვეყანავ, სიცოცხლე ასე რომ მიხარია!“

სიხარულით გემღერებოდეთ, ძია მიშა!

ეკა ტალახაძე

ჟურნალისტი, საქართველოს რადიოს დილის პროგრამა
„პიკის საათის“ პროდიუსერი

საქართველოს განძი ჰყავს
მიშა მცურავიშვილის სახით

არიან ადამიანები, რომლებმაც ისეთ დროს გადაარჩინეს და დაიცვეს ქართული მუსიკა, როცა რეალობა დავიწყების საშიშროების წინაშე აყენებდა ჩვენს ტრადიციულ შემოქმედებას. ამ პიროვნებებს შორის გამორჩეულია მიხეილ მცურავიშვილი, ხალხური, სასულიერო და კლასიკური მუსიკის უბადლო მცოდნე, რომელმაც ქართულ ვოკალურ სამუსიკო კულტურაში თავისი მიმართულება და სტილი დაამკვიდრა. მან ჩამოაყალიბა მრავალი ანსამბლი, როგორც ბავშვთა, ისე – ვაჟთა, სათავეში ედგა ხალხურ საკრავთა ორკესტრს, შექმნა მედუდუკეთა დასტა... თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან შემოქმედებითი ძალები მოსინჯა ქართული ვოკალური მუსიკის ყველა სფეროში და თითოეულ მათგანში განუმეორებელი კვალი დატოვა. თანაბარი წარმატებით ასრულებს როგორც ხალხურ, ისე – ქალაქურ სიმღერებს, აღმოსავლურ ბაიათებსა თუ კლასიკური სარომანსო სტილის ნიმუშებს. არაერთი სიმღერა თავად დაუმუშავებია და გაუორკესტრებია.

მიშა მცურავიშვილმა, სოფელში დაბადებულმა და ქართლ-კახურ სიმღერებზე გაზრდილმა, აკადემიურ დონეზე აიყვანა ხალხური სიმღერის შემსრულებლობა, თუმცა, ამასთან ერთად, შეუნარჩუნა მას ხალხური სული.

ბატონი მიშა უაღრესად განათლებული მუსიკოსია. არ არსებობს თემა, რაზეც მას კომპეტენტური მოსაზრება არ აქვს. ეს არის არა ზედაპირული, არამედ სიღრმისეული ცოდნა. მასთან ხშირად მისაუბრია ქართული ხალხური მუსიკის გადარჩენაზე, გალობის დამკვიდრებაზე, ხალხური სიმღერის აკადემიურობაზე და ყოველთვის მიმიღია ცოდნა, რომელიც მომავალ თაობებსაც უნდა გადაეცეს.

საქართველოს განძი ჰყავს მიშა მცურავიშვილის სახით.

მისი როლი ქართული ვოკალური მუსიკის ისტორიაში უმნიშვნელოვანესია.

დღეს ჩვენთვის მთავარია, სწორ გზაზე დავაყენოთ ახალ-

გაზრდა თაობა და ამ მხრივ მიშა მცურავიშვილი ძალიან კარგი მაგალითია. სწორედ ასეთი უნდა იყოს ეროვნული საგანძურის დამცველი.

მადლობა ბატონ მიშას თავდაუზოგავი მოღვაწეობისთვის. მხნეობას და შემოქმედებით წინსვლას ვუსურვებ!

მიხეილ ჯავახიშვილი
ანზორ ერქომაიშვილის სახელობის
საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო
ანსამბლ „მართვეს“ სამხატვრო ხელმძღვანელი

მასთან ყოფნა და სიმღერა ერთი სიამოვნებაა!

ბატონ მიშაზე მხოლოდ კარგი შემიძლია გავიხსენო. გაწონასწორებული და აუღელვებელი, სათქმელს ყოველთვის იუმორით აზავებს. მასთან ყოფნა და სიმღერა ერთი სიამოვნებაა.

მიშა მცურავიშვილი ანსამბლ „ილიონში“ გავიცანი. ის და ოთარ ბერძენიშვილი სამხატვრო ხელმძღვანელები იყვნენ. საუკეთესო მომღერლებმა მოიყარეს თავი. დასავლურ სიმღერებს ოთარ ბერძენიშვილი გვასწავლიდა, აღმოსავლურებს – ბატონი მიშა, რომელიც წამყვან ხმას თავად მღეროდა.

არ მახსოვს, მიშა მცურავიშვილს ოდესმე ხმა აეწიოს. რეპეტიციები ყოველთვის სასიამოვნო გარემოში მიმდინარეობდა.

მახსენდება ერთი შემთხვევა, როცა მიშამ რამდენიმე რეპეტიცია გააცდინა. გავიგეთ, რომ ცუდად იყო – წითელი ქარი აწუხებდა და სანახავად გორში ჩავედით. ჩვენი დანახვა ისე გაუხარდა, ავადმყოფობა სულ დაავიწყდა. მარანში ჩამიყვანა გურულო, ღვინოს შენ უკეთ აარჩევ, რომელიც მოგეწონება, ის დავლიოთო. კარგად მოგვალხენინა, თავადაც მოილხინა, ვიმღერეთ და რეპეტიციაც გამოგვივიდა. დალევა მისთვის არ შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენი დანახვის სიხარულმა და

მასპინძლობის ჩვეულებამ თავისი გაიტანა.

ბედნიერი ვარ, რომ მიშა მცურავიშვილის სახით საუკეთესო ადამიანსა და მომღერალს შემახვედრა უფალმა.

თემურ ანდღულაძე
მომღერალი

ასეთმა ადამიანმა დიდხანს უნდა იცოცხლოს!

ჩვენ ჯერ კიდევ მანამდე ვმეგობრობდით, სანამ „გორდელაში“ მოვიდოდა. მიუხედავად იმისა, რომ მიშას მოსვლამდე „გორდელა“ უკვე შემდგარი ანსამბლი იყო, გასტროლებზეც დადიოდა და არც პოპულარობა აკლდა, მიშას ხმამ ის ძალიან გამოაცოცხლა. გარდა იმისა, რომ განსაკუთრებული ხმა აქვს, მიშა შესანიშნავი პიროვნებაც გახლავთ.

ურთიერთობა არც „გორდელას“ დაშლის შემდეგ შეგვიწყვეტია. ხშირად ჩავდიოდი მასთან მეჯვრისხევში, თბილისში რომ ჩამოდიოდა, მეხმიანებოდა, ოჯახებითაც ვმეგობრობდით.

ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებ არაჩვეულებრივ ადამიანს, დიდხანს უნდა იცოცხლოს!

თამაზ ანდღულაძე
მომღერალი, ანსამბლ „გორდელას“ წევრი

ის ნამდვილი ლეგენდაა!

მიხეილ მცურავიშვილი ნამდვილი ლეგენდაა ყველა მომღერლისთვის, ლეგენდა, რომელიც მისაბაძია, როგორც თავისი თაობის შემსრულებლებისთვის, ისე – ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ბევრს სწავლობენ მისგან.

ესაა გამორჩეული მომღერალი, რომლის მსგავსი ხმა ძალიან იშვიათია. თავისი მოღვაწეობის გზაზე მას უამრავი სიმღერა შეუსრულებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი არ არის ჩაწერილი. ეს კი გულდასაწყვეტია, რადგან ამგვარი

რესურსის მქონე მომღერალი ძალიან ცოტა გვყავს; მისი ყველა სიმღერის ჩანაწერი უნდა დარჩენოდა მომავალ თაობას. თუმცა, საბედნიეროდ, ის ჩანაწერები, რომლებიც მიშა მცურავიშვილის შესრულებით გვაქვს, განუმეორებელი და შეუდარებელია. თამამად ვიტყვი, რომ, მაგალითად, თემურ ქევხიშვილთან დუეტში შესრულებულ „გრძელ კახურ მრავალჟამიერს“ და მამია ხატელიშვილის კვარტეტთან ერთად ნამღერს „ანანურს ციხევ ნაგებო“ ვერასდროს ვერავინ გაიმეორებს! ანსამბლ „გორდელასთან“ ერთად კი ბატონმა მიშამ ისტორიული მისია შეასრულა ქართული სიმღერა-საგალობლების პოპულარიზაციის საქმეში.

ბატონი მიშა – ჩემი უფროსი მეგობარი და ჩვენი თაობის დიდი მასწავლებელი – სათანადო აღიარებას იმსახურებს.

ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებ, რათა კიდევ დიდხანს იღვაწოს ახალგაზრდებთან ერთად და გადასცეს მათ თავისი მდიდარი გამოცდილება.

გიორგი დონაძე

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს
ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი

მიშა ნამდვილი პროფესიონალია!

მიშა მცურავიშვილს ვიცნობ, როგორც დიდებულ მომღერალსა და ქორმაისტერს. მახსოვს მისი შესანიშნავი გუნდი გორში.

მახსოვს, ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა კონცერტი, რომელზეც შესრულდა ჩემი ნაწარმოები „საქართველოს აკვნებს ვლოცავთ“. ის მიშა მცურავიშვილმა მოამზადა და დიდი წარმატებით შეასრულა.

მიშა ნამდვილი პროფესიონალია ქართული სიმღერისა და არა მარტო ხალხურისა...

ის ჩემ მეზობლად ცხოვრობდა და ჩვენ ყოველდღიური ურთიერთობა გვქონდა. თუმცა ჩვენი მთავარი დამაკავ-

შირებელი იყო სიყვარული მუსიკისა, კერძოდ, ქართული ხალხური სიმღერისა...

ვაჟა აზარაშვილი

კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

დიდი ხელოვანი

მიშა რომ გავიცანი, საქართველოს ტელერადიომაუწ-ყებლობის ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქციის რეჟისორი გახლდით; მევალებოდა რაიონების კულტურის სახლებთან არსებული ფოლკლორული ანსამბლების მოძიება, გადაღება და ტელევიზიით გადაცემა. ამისთვის ვიყენებდი კინოკამერას, მოძრავ ვიდეოგადამღებ სადგურს ან ვიწვევდი ანსამბლებს ადგილობრივ სტუდიებში. ამაში მეხმარებოდა მიშა მცურავიშვილი.

ჩვენ ერთად დავამთავრეთ კულტსაგანმანათლებლო სას-წავლებელი. მერე მიშამ კონსერვატორიაში ჩააბარა, მე კი – თეატრალურ ინსტიტუტში. თუმცა ურთიერთობა გავაგრძელეთ. ყოველთვის მახარებდა მისი წარმატება.

მიშა უნიკალური პიროვნებაა, დიდად პატივსაცემი, გულისხმიერი, გულწრფელი, დიდი ხელოვანი, ქართული მუსიკის მოამაგე. მან ძალიან ბევრი რამ გააკეთა ეროვნული საგანძურის პოპულარიზაციისათვის.

ის საოცრად განათლებული ადამიანი და არაჩვეულებრივი მეხსიერების პატრონია. ხშირად დამხმარებია კონსულტაციე-ბით ცნობილი მომღერლებისა და ლოტბარების შესახებ მოგონებების წერისას.

ვენაცვალე მას!

ვანო გელაშვილი

საქართველოს ტელევიზიის ხალხური შემოქმედების
მთავარი რედაქციის რეჟისორი 1970-2000 წლებში

განუმეორებელი „ზამთარი“ ზამთარში

რევაზ ინანიშვილს აქვს ერთი საინტერესო მოთხრობა: შობა თენდება და ალილოზე მოსული ხალხი, „ალილოს“ გარდა, მღერის „ზამთარს“. „მას შემდეგ ძალიან დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ასეთი დასამახსოვრებელი და ასე ემოციურად მოსული ზამთარი არასდროს განმეორებულა“, – წერს ინანიშვილი.

მსგავსი რამ მეც დამემართა და ეს ამბავი სწორედ მიშა მცურავიშვილს უკავშირდება. მაშინაც ზამთარი იყო. მე, თემურ ქევხიშვილი და ზაურ ჭაფოძე მიშამ მეჯვრისხევში დაგვპატიჟა. დედამისთან ერთად ჩინებული სუფრითა და სისხლივით სქელი, წითელი ღვინით გაგვიმასპინძლდა. გარეთ საოცრად ბარდნიდა. ოთახში ღუმელი ენთო და ძალიან ცხელოდა, ამიტომ ფანჯარა გამოვაღეთ. თოვლის ფანტელები ოთახში ცვიოდა და სითბოსგან დნებოდა. ერთი შეხედვით, ფანჯრიდან თოვლის ფარდა შემოდიოდა და ქრებოდა. გარეთ რომ ვინმე გაივლიდა, არ ჩანდა, მაგრამ თოვლის ჭრაჭუნი ისმოდა. რამდენიმე ჭიქა რომ დავლიეთ, მიშამ წამოიწყო „ზამთარი“, თავისი ვარიანტი, რომელსაც მხოლოდ ის მღეროდა. თემური, რასაკვირველია, მეორე ხმით შეეგება, ჩვენ ორმა ბანი ვთქვით და სწორედ ის საოცარი ემოცია დამეუფლა, რომელზეც რევაზ ინანიშვილი მოგვითხრობს... მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ამ სიმღერის ყოველი მოსმენისას ის განუმეორებელი შესრულება მახსენდება, როცა ორმა გენიალურმა მომღერალმა – მიშა მცურავიშვილმა და თემურ ქევხიშვილმა „ზამთარი“ იმღერეს ზამთარში, როცა ფანჯარა ღია იყო და სახლში თოვლის ფანტელები შემოდიოდა...

თემურ ჭკუასელი
მომღერალი, ფილოლოგი,
ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტი

მიშას მსგავსი მომღერალი ბევრი არ დადის საქართველოში...

1974 წელს „გორდელაში“ რომ მიმიღეს, მიშა უკვე იქ მღეროდა. მანამდე მამია ხატელიშვილთან იყო და იქ ძირითადად საკომპოზიტორო სიმღერებს ასრულებდა. „გორ-დელაში“ კი ხალხური რეპერტუარი გვქონდა. მიშა ქართლში იყო დაბადებულ-გაზრდილი და ხალხური, განსაკუთრებით – ქართლ-კახური, სიმღერების შესრულება არაჩვეულებრივი კოლორიტითა და ხასიათით გამოსდიოდა.

მიშასნაირი მომღერალი ბევრი არ დადიოდა საქართვე-ლოში. თემურ ქევხიშვილთან მისი დუეტი სასწაული იყო, უკეთესს ვერაფერს მოისმენდა ადამიანი!

მახსენდება ჩვენი გასტროლი ამერიკაში. გვთხოვეს „ხა-სანბეგურას“ შესრულება. გურული არავინ გვყავდა. რაკი მე იმერელი ვიყავი, ჩათვალეს, რომ ბანს კარგად ვიმღერებდი, გომარ სიხარულიძე თავისთავად კრიმანჭულს იტყოდა. შუა ხმაზე რომ მიდგა საქმე, მიშამ თქვა, მე ვიტყვიო. ჩვენდა გასაოცრად, გურულივით ვერა, მაგრამ კარგი იმერელივით კი იმღერა ამ ქართლელმა კაცმა...

მიშა არაჩვეულებრივი ხმის პატრონი და ნიჭიერი მომღერა-ლია, ამავდროულად, იგი კარგი დირიჟორი იყო. დღეგრძელობას და ჯანმრთელობას ვუსურვებ!

რობერტ გოგოლაშვილი
მომღერალი, ლოტბარი, საქართველოს
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ერთ-ერთი ყველაზე თავმდაბალი ადამიანი, ვისაც ვიცნობ...

გაცნობის დღიდან ძია მიშასთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა. გვიან გავიგე, რომ პაპაჩემის ბავშვობის მეგობარი ყოფილა. ჩვენს გუნდს, რომელშიც ყველა თაობის მომღერლები

მღეროდნენ, ძია მიშა „სამჭედლოს“ ეძახდა. სულ გადარბენაზე იყო, საკუთარი ხარჯით მიდი-მოდიოდა, ძალისხმევას არ აკლებდა გუნდს...

ის ერთ-ერთი ყველაზე თავმდაბალი ადამიანია, ვისაც ვიცნობ. სწორედ ამ თავმდაბლობითა და უბრალოებით შემაყვარა თავი. საამაყო კაცია, მაგრამ მისთვის სრულებით უცხოა ქედმაღლობა და სიამაყე...

ძია მიშას საოცარი იუმორის გრძნობა აქვს. ერთსა და იმავე ამბავს ასჯერ რომ მოჰყვეს, სიცილს მაინც ვერ შეიკავებ.

ჯაბა გიუნაშვილი

ფინანსისტი, გორის ვაჟთა გუნდის წევრი

ის მთელ საქართველოს უყვარს!

ქართველებს გვაქვს განსაკუთრებული და გამორჩეული ხალხური სიმღერა, ქართულ ხალხურ სიმღერას კი, თავის მხრივ, ჰყავს ასევე განსაკუთრებული და გამორჩეული შემსრულებლები. სწორედ ასეთად მიმჩნია ბატონი მიხეილ მცურავიშვილი. მას ხომ, მართლაც, განსაკუთრებული, გამორჩეული, თბილი და ძლიერი ხმა მისცა უფალმა. არ შეიძლება, ერთხელ მაინც მოისმინო მისი გულში ჩამწვდომი ნამღერი და მთელი ცხოვრება არ ატარო პატრიოტიზმის ნიმუშად. ბატონი მიხეილის პიროვნება, ისევე, როგორც მისი ხმა, გამორჩეულია სითბოთი, სიკეთითა და სიყვარულით. ამიტომ უყვარს ის მთელ საქართველოს!

კახა ცაბაძე

კომპოზიტორი, თბილისის საპატიო მოქალაქე

ჩვენ მეგობრები ვართ, ასაკის მიუხედავად...

დედაჩემი ძია მიშას სოფლელია. ბავშვობიდან მესმოდა მის შესახებ. ბავშვობაში ვმღეროდი, მაგრამ მამაჩემის გარდაცვალების მერე დავანებე თავი. უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, სააქტო დარბაზიდან სიმღერა შემომესმა. შევიხედე თუ არა, დამიძახა, შემოდი, მოგვისმინეო. ისე მომანდომა სიმღერა, სამ თვეში უკვე გუნდში ვმღეროდი.

ასაკის მიუხედავად, ძია მიშა ჩვენი მეგობარია. ესაა გენიოსი ადამიანი, რომელიც იმდენ ინფორმაციას იტევს, გაოცებული ვუყურებთ. რუსთაველი ზეპირად იცის, ძალიან უყვარს გალაკტიონი, გოგლა.

შევიციცინებთ, რომ დიდხანს იყოს ჩვენთვის მისაბაძად.

დავით გიგაური
ეკონომისტი, გორის ვაჟთა გუნდის წევრი

ასე მგონია, არასდროს იღლება...

მიშა ძია არასდროს მინახავს უხასიათოდ, ცუდ გუნებაზე. პირიქით, ყოველთვის პოზიტიური, სტიმულის მომცემი, ენერგიულია. ასე მგონია, არასდროს იღლება. რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელდეს რეპეტიცია, საწყის შემართებას არ კარგავს.

სიმღერა მშრალად არასოდეს უსწავლებია, აუცილებლად გვეტყოდა ამ სიმღერის ისტორიას, ჟანრს, სად სრულდებოდა, ვინ ასრულებდა და ა.შ.

ძია მიშა დღემდე ჩვენი მთავარი კონსულტანტია.

ქართული სიმღერის ასეთი გულშემატკივარი, სამწუხაროდ, ბევრი არ გვყავს. მისი თაობის მომღერლების წასვლამ ძალიან დათრგუნა, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მხარში ამოვუდგეთ და არ მივცეთ ფარ-ხმლის დაყრის საშუალება.

ზურაბ წკრიალაშვილი
გორის ანსამბლ „რიხის“ ხელმძღვანელი

მისგან კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი...

მიშა ძია გორის უნივერსიტეტში სწავლისას გავიცანი. მაშინ გორის გუნდს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ამეცადინებდა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო მისი განათლება, ლიტერატურისადმი სიყვარული და საოცარი თამადობა. იმდენი ლექსი იცის და ისე მხატვრულად კითხულობს, ისეთ საინტერესო სადღეგრძელოებს ამბობს, დიდი სიამოვნებაა მასთან ერთად სუფრასთან ყოფნა.

მეჯვრისხევში ხშირად ჩავდივართ ხოლმე და ისეთ გემრიელ კერძებს გვიმზადებს, გვაოცებს; გვიმასპინძლდება თავისი მოყვანილი კიტრით, პომიდვრით, მწვანილით, ხილით... აქვს ვენახიც და საუკეთესო თავკვერს აყენებს.

დიდხანს და ჯანმრთელად გვყავდეს, რადგან მისგან კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი...

ლაშა დადიანიძე
გორის ვაჟთა გუნდის წევრი

დაუვიწყარი ხმის პატრონი...

კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დასრულების შემდეგ მუსიკოს-შემსრულებლად გამანაწილეს ხალხურ საკრავთა სახელმწიფო ორკესტრში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კირილე ვაშაკიძე. სწორედ მაშინ გავიცანი მიხეილ მცურავიშვილი, რომელიც დირიჟორად იყო მოწვეული. მიშა გამოირჩეოდა საოცარი პროფესიონალიზმით. ის თავადაც ფლობდა ყველა ხალხურ საკრავს და არაჩვეულებრივად დირიჟორობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიშას დაუვიწყარი სასიმღერო ხმა, რომელსაც ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავდა ქართველი და უცხოელი მსმენელი. ორკესტრის პარალელურად ის მღეროდა ანსამბლ „გორდელაში“, რომელთან ერთადაც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა

მოიარა. მიშა ყველასთან მეგობრობდა; ჩვენც დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, ბევრი კარგი რამ ვისწავლე მისგან. დიდხანს სიცოცხლესა და გამარჯვებას ვუსურვებ ბატონ მიშას.

ემზარ ხელაძე
ხალხურ საკრავთა ორკესტრის წევრი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარაყანიძე, ედიშერ. (2007). ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა. თბილისი: ინტელექტი.
2. ვალიშვილი, ნანა და კოტრიკაძე, სოფიო. (2014). „ხალხურ საკრავთა ორკესტრი – ტრადიცია თუ სიახლე?“ http://musicalgeorgia.blogspot.com/2014/05/blog-post_28.html
3. მესხი, თამარ. (2020). „ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი“ წიგნში: საქართველო: კულტურა, ისტორია და ეთნოგრაფია. ტ.2. ანზორ ერქომაიშვილის რედაქტორობით. ნიუ-იორკი: Nova Science Publishers, Inc. (ინგლისურ ენაზე).
4. მოისწრაფიშვილი, ნატო (შემდგ.). (2005). ქართული ხალხური სიმღერები ავქსენტი მეგრელიძის არქივიდან. თბილისი: საქართველოს მაცნე.
5. მცურავიშვილი, მიხეილ. (1974). ამერიკული გასტროლის ხელნაწერი დღიურები.
6. ონოფრიშვილი, თამილა. (1999). „ყველაფერი ოჯახიდან და „გორდელადან“ დაიწყო“. დილის გაზეთი №1. 15 იანვარი, 1999 წელი.
7. სიხარულიძე, გომარ. (2011). გორდელა 50. თბილისი: ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი.
8. ქავთარაძე, ნანა. (2002). მამია ხატელიშვილი 70. თბილისი: პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა.
9. ქართულ ხალხურ საკრავთა სახელმწიფო ორკესტრი. (1973). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონია (რუსულ ენაზე).

რადიოგადაცემები

სტუმრად საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „ხაზის რადიო“

1. მარიამ არჯევნიშვილის გახსენება (ნაწილი I). 18.11.2014 https://www.youtube.com/watch?v=8WiSiIPNCCs&t=14s&ab_channel=GeorgianPublicRadio

2. მარიამ არჯევნიშვილის გახსენება (ნაწილი II). 25.11.2014 https://www.youtube.com/watch?v=JpC1dFPq6uA&t=1215s&ab_channel=GeorgianPublicRadio

3. მიხეილ მცურავიშვილი. 20.07.2015 https://www.youtube.com/watch?v=RUeDqpBt2aM&ab_channel=GeorgianPublicRadio

4. გლახო ზახაროვი – 110. 13.10.2015 https://www.youtube.com/watch?v=tjdmpDe1IOM&ab_channel=GeorgianPublicRadio

5. გიორგი (ლუდა) ქუფარაშვილი. 22.12.2015 https://www.youtube.com/watch?v=kgUSvpb3X2A&t=1519s&ab_channel=GeorgianPublicRadio

6. კირილე ვაშაკიძის გახსენება. 12.04.2016 https://www.youtube.com/watch?v=ssfYXN1e81Y&ab_channel=GeorgianPublicRadio

7. ვალიკო ნანობაშვილის გახსენება. 14.06.2016 https://www.youtube.com/watch?v=f8N15vUoew8&ab_channel=GeorgianPublicRadio

8. ეთერ კაცობაშვილი და როზა ფარადაშვილი. 12.07.2016 https://www.youtube.com/watch?v=JpC1dFPq6uA&t=1215s&ab_channel=GeorgianPublicRadio

9. დასავიწყებლად არ გვემეტები. 19.07.2016 https://www.youtube.com/watch?v=s7JCNWS7yCI&ab_channel=GeorgianPublicRadio

10. ნუგზარ ფსუტურის გახსენება. 15.11.2016 https://www.youtube.com/watch?v=aYGpSQAwtNY&ab_channel=GeorgianPublicRadio

11. ნესტორ ხაიაური და გურამ დუდაური. 07.02.2017

https://www.youtube.com/watch?v=kKn8sNZWkcw&ab_channel=GeorgianPublicRadio
12. აუდიოფონდის მივიწყებული ჩანაწერები. 21.02.2017
https://www.youtube.com/watch?v=mV0d6Ln_a8&ab_channel=GeorgianPublicRadio
13. „ჩემი სიმღერა“. 04.04.2017
https://www.youtube.com/watch?v=X16HGX9e3S4&ab_channel=GeorgianPublicRadio
14. აუდიოალბომი „ჩემი სიმღერა“. 13.06.2017
https://www.youtube.com/watch?v=0Lqbgwof7D4&ab_channel=GeorgianPublicRadio
15. კვარტეტი „სინათლე“. 17.10.2017
https://www.youtube.com/watch?v=f3X7k8_CO4&ab_channel=GeorgianPublicRadio
16. გორის ანსამბლი „მაჩაბელა“. 24.10.2017
https://www.youtube.com/watch?v=vUpV8Kyr9Cs&ab_channel=GeorgianPublicRadio
17. ხალხურ საკრავებზე შემსრულებლები. 07.11.2017
https://www.youtube.com/watch?v=ApP_nzW0sOM&ab_channel=GeorgianPublicRadio
18. მიხეილ ჭანკოტაძის „ოროველა“. 19.12.2017
https://www.youtube.com/watch?v=vGwvtnebCyI&ab_channel=GeorgianPublicRadio
19. „ჩაკრულო“. 10.01.2018
https://www.youtube.com/watch?v=mV0d6Ln_a8&ab_channel=GeorgianPublicRadio
20. ქალაქური ფოლკლორი (ნაწილი I). 16.01.2018
https://www.youtube.com/watch?v=kXaesOgLQhQ&ab_channel=GeorgianPublicRadio
21. ქალაქური ფოლკლორი (ნაწილი II). 23.01.2018
https://www.youtube.com/watch?v=VpjwaeZmSiw&ab_channel=GeorgianPublicRadio
22. გიორგი ბუღაძის შემოქმედება. 13.02.2018
https://www.youtube.com/watch?v=Kp-VSYAU-dA&ab_

channel=GeorgianPublicRadio

სტუმრად საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოგადაცემაში „ჩაკრულო“

მიხეილ მცურავიშვილის შემოქმედება. 14.12.2016

https://www.youtube.com/watch?v=WBUZhEWjJ8Y&t=318s&ab_channel=GeorgianPublicRadio

სიუჟეტი ტელევიზია „ერთსულოვნებაში“. 2017

https://s.shabakngy.com/to/to.php?q=ZdT_Gpwh2B4

სიუჟეტი ტელევიზიაში Trialeti TV. 2019

https://www.youtube.com/watch?v=r1e_GUvOsXU&t=18s&ab_channel=TrialetiTV

ინტერნეტგვერდებზე გამოქვეყნებული აუდიო- და ვიდეომასალა

აუდიომასალა

1. ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „გორდელა“. ქართული მუსიკა ვინილზე (1974).

https://www.youtube.com/watch?v=yMCwdU-uNFU&list=PLQ1pjSn2LiTNGEZY9lk0BN2qkzwWQy0vN&ab_channel=%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%96%E1%83%94%2FGeorgianMusicOnVinyl

2. „ურმული“ დიმიტრი არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ხალხურ საკრავთა ორკესტრის თანხლებით (1972).

https://www.youtube.com/watch?v=uhHSPej6qTc&ab_channel=DavitGigauri

ვიდეომასალა

1. კვარტეტი „ფიროსმანი“. სიმღერა „ანანურს ციხევ ნაგებო“ (1968).
https://www.youtube.com/watch?v=nQEWXIq8KPE&ab_channel=DavitGigauri
2. კვარტეტი „ფიროსმანი“. სიმღერა „ფიროსმანი“ (1968).
https://www.youtube.com/watch?v=43nmK-oF2a4&ab_channel=GiorgiKhatelishvili
3. „გორდელა“. იმერული „ცხენოსნური“ (1969).
https://www.facebook.com/messenger_media?attachment_id=235494382511881&message_id=mid.%24cAAAAABNjrteOe4zRomlSkdkIQQW-&thread_id=100000298048353
4. კირილე ვაშაკიძე სატელევიზიო გადაცემაში
მიხეილ მცურავიშვილი. კ. ფოცხვერაშვილის „ინდი-მინდი“ და რ. ლაღიძის „სიმღერა სამშობლოს“ (1972).
https://www.facebook.com/emzar.kheladze/posts/1097962273566569/?vh=e&extid=MSG-UNK-UNK-UNK-AN_GK0T-GK1C
5. კვარტეტი „ფიროსმანი“. Salvatore Gambardella. Comme facette màmmetta? (1980).
https://www.facebook.com/messenger_media?attachment_id=1310468536553899&message_id=mid.%24cAAAAABNjrteOe5QxrmlSk60zisgu&thread_id=100000298048353
6. რევაზ ლაღიძე. „კარკუჩით წამაიყვანეს“.
რევაზ ლაღიძის საღამო (1995).
https://www.facebook.com/nino.mtsuravishvili/posts/pfbid-0se31BjKdCr3iUDFVuaFa82qBePWmxUtnvaVHE2CLhvPsmd-FQprcTC8MhVWw3BinQl
7. ნიკო სულხანიშვილი. „გუთნური“. საქართველოს სახელმწიფო კაპელა (1998).
https://www.youtube.com/watch?v=5ME4snWu7fQ&ab_channel=heavensan
8. „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ (ი. გრიშაშვილის

ტექსტზე). მედუდუკეთა დასტა: კობა პაპიაშვილი, ზაურ მერებაშვილი, გივი კანდელაკი (2018).

https://www.youtube.com/watch?v=MOTeJrD27WQ&ab_channel=RobertTbeli

აუდიოალბომები

1. აუდიოალბომი „ჩემი სიმღერა“ (2017).

http://folk.gov.ge/mcuravishvili/

2. ვაჟთა გუნდი „გორი“ (2019).

https://audiomack.com/folkcentre/album/vazhta-gundi-gori?fbclid=IwAR2fF8Hpcx3i35-ae3SuW5xTdmNiATe-FMZIjdhZ3FazwB4ahlHso5QJRPWQ

გრამფირფიტები:

1. „Гордела“. Мужской вокальный ансамбль. Грузинские Народные Песни. Фирма „Мелодия“ (1973).
2. ვოკალური ანსამბლი „გორდელა“. ფირმა „მელოდია“ (1974).

https://www.youtube.com/watch?v=yMCwdU-uNFU&list=PLQ1pjSn2LiTNGEZY9lk0BN2qkzwWQy0vN&ab_channel=%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%96%E1%83%94%2FGeorgianMusicOnVinyl

3. მღერის გორის ვაჟთა გუნდი. ფირმა „მელოდია“ (1981).
4. ვაჟთა გუნდი „გორი“. ფირმა „მელოდია“ (1986).

დანართის ნუსხა

აუდიოჩანაწერები

1. **მრავალჟამიერ**. ასრულებს ანსამბლი „გორდელა“; სოლისტები: მიხეილ მცურავიშვილი და თემურ ქევხიშვილი. აუდიოალბომიდან „ჩემი სიმღერა“ (2017).

2. **ზამთარი.** ასრულებს ვაჟთა გუნდი „გორი“; სოლისტები: ილია კაპანაძე და მიხეილ მცურავიშვილი. აუდიოალბომიდან „ჩემი სიმღერა“ (2017).

3. **ბერიკაცი ვარ**. ასრულებს ვაჟთა გუნდი „გორი“; სოლისტები: ილია კაპანაძე და მიხეილ მცურავიშვილი. აუდიოალბომიდან „ჩემი სიმღერა“ (2017).

4. **კალოსპირული.** ასრულებს ანსამბლი „გორდელა“; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი. გრამფირფიტიდან „ვოკალური ანსამბლი „გორდელა“ (1974).

5. **პირველი ყვავილები.** კომპ.: ალ. შავერზაშვილი. ასრულებს ხალხურ საკრავთა ორკესტრი; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის არქივიდან (1972).

6. **ურმული.** დ. არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ასრულებს ხალხურ საკრავთა ორკესტრი; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი (1972).

7. **დუდუკო, ჩემო.** ასრულებს ვაჟთა გუნდი „გორი“, მედუდუკეთა ანსამბლი; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი. აუდიოალბომიდან „ჩემი სიმღერა“ (2017).

8. **დუდუკო ჩემო.** ასრულებს მედუდუკეთა ანსამბლი; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი. აუდიოალბომიდან „ჩემი სიმღერა“ (2017).

9. **რასტი-ბაიათი.** ასრულებს მედუდუკეთა ანსამბლი; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი. აუდიოალბომიდან „ჩემი სიმღერა“ (2017).

10. **ახ, მეზურნევ!** ასრულებენ ვაჟთა გუნდი „გორი“ და ხალხურ საკრავთა ორკესტრი; სოლისტები: მიხეილ

მცურავიშვილი და სულიკო მირუაშვილი. არანჟირებულია მიხეილ მცურავიშვილის მიერ. აუდიოალბომიდან „ჩემი სიმღერა“ (2017).

11. **საქართველო.** ასრულებს მედუდუკეთა ანსამბლი; სოლისტები: მიხეილ მცურავიშვილი და ილია ზაქაიძე. არანჟირებულია მიხეილ მცურავიშვილის მიერ. აუდიოალბომიდან „ჩემი სიმღერა“ (2017).

12. **ნამგლური.** ასრულებს ანსამბლი „გორდელა“; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი. აუდიოალბომიდან „ჩემი სიმღერა“ (2017).

13. **იავნანა.** ასრულებს ვაჟთა გუნდი „გორი“; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი. აუდიოალბომიდან „ჩემი სიმღერა“ (2017).

14. **ფიროსმანი.** კომპ.: ა. ჩიმაკაძე. ასრულებს კვარტეტი „ფიროსმანი“. სოლისტი ნიკოლოზ კაპანაძე. (1968).

15. **კარკუჩით წამაიყვანეს.** კომპ.: რ. ლაღიძე. სიმღერა კინოფილმიდან „ხევისბერი გოჩა“. ასრულებს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი. ჩაწერილია რ. ლაღიძის საღამოზე საქართველოს ფილარმონიის დარბაზში (1995).

ვიდეოჩანაწერები

1. **ანანურს ციხევ ნაგებო.** ა. ჩიმაკაძე. კვარტეტი „ფიროსმანი“; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი (1968).

2. **იმერული ცხენოსნური.** ანსამბლი „გორდელა“ (1969).

3. **ინდი-მინდი**. კომპ.: კ. ფოცხვერაშვილი. ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი. ჩაწერილია კირილე ვაშაკიძის საღამოზე (1987).

4. **სიმღერა სამშობლოს.** კომპ.: რ. ლაღიძე. ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი; სოლისტი მიხეილ მცურავიშ-ვილი. ჩაწერილია კირილე ვაშაკიძის საღამოზე (1987).

5. **გუთნური.** ნ. სულხანიშვილი. საქართველოს სახელმწიფო

კაპელა გივი მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი (1998).

6. **გამოთხოვება ძველ თბილისთან.** მედუდუკეთა ანსამბლი: კობა პაპიაშვილი, ზაურ მერებაშვილი, გივი კანდელაკი; სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი (2018).

LIST OF RECORDINGS
Audio ecordings

1. **Mravalzhamier.** Ensembe Gordela. Soloists: Mikheil Mtsuravishvili and Temur Kevkhishvili. From the audioalbum “My song” (2017).

2. **Zamtari.** Male choir Gori. Soloists: Ilia Kapanadze and Mikheil Mtsuravishvili. From the audioalbum “My song” (2017).

3. **Berikatsi Var.** Male choir Gori. Soloists: Ilia Kapanadze and Mikheil Mtsuravishvili. From the audioalbum “My song” (2017).

4. **Kalospiruli.** Ensemble Gordela. Soloist Mikheil Mtsuravishvili. (1974).

5. **Pirveli Kvavilebi.** Al. Shaverzashvili. Orchestra of Georgian folk instruments. Soloist Mikheil Mtsuravishvili (1972).

6. **Urmuli.** D. Arakishvili. Opera “ Tkmuleba Shota Rustavelze”. Orchestra of Georgian folk instruments. Soloist Mikheil Mtsuravishvili (1972).

7. **Duduko, Chemo**. Male choir Gori, Ensemble of Duduki players; Soloist Mikheil Mtsuravishvili. From the audioalbum “My song” (2017).

8. **Duduko, Chemo.** Ensemble of Duduki player; Soloist Mikheil Mtsuravishvili. From the audioalbum “My song” (2017).

9. **Rasti-baiat**. Ensemble of Duduki players; Soloist Mikheil Mtsuravishvili. From the audioalbum “My song” (2017).

10. **Ah, Mezurnev!** Male choir Gori and Orchestra of Georgian folk instruments; Soloists: Mikheil Mtsuravishvili and Suliko Miruashvili. Arranged by Mikheil mtsvurvishvili. From the audioalbum “My song” (2017).

11. **Sakartvelo.** Ensemble of Duduki players; Soloists: Mikheil Mtsuravishvili and Ilia Zakaidze. Arranged by Mikheil mtsvurvishvili. From the audioalbum “My song” (2017).

12. **Namgluri.** Ensemble Gordela. Soloist Mikheil Mtsuravishvili. From the audioalbum “My song” (2017).

13. **Iavnana.** Male choir Gori. Soloist Mikheil Mtsuravishvili. From the audioalbum “My song” (2017).

14. **Phirosmani.** A. Chimakadze. Phirosmani Quartet. Soloist Nikoloz Kapanadze (1968).

15. **Karkuchit Tsamaikvanes.** R. Laghidze, from the film “Khevisberi Gocha”. State Ensemble Rustavi; Soloist Mikheil Mtsuravishvili. Revaz Laghidze’s Anniversary concert (1995).

Video Recordings

1. **Ananurs Tsikhev Nagebo**. A. Chimakadze. Phirosmani Quartet. Soloist Mikheil Mtsuravishvili (1968).

2. **Imeruli Tskhenosnuri.** Ensemble Gordela (1969).

3. **Indi-mindi**. K. Potskhverashvili. Orchestra of Georgian folk instruments. Soloist Mikheil Mtsuravishvili (1987).

4. **Simghera Samshoblos.** R. Laghidze. Orchestra of Georgian folk instruments. Soloist Mikheil Mtsuravishvili (1987).

5. **Gutnuri.** N. Sulkhanishvili. Georgian State Choir, conducted by Givi Munjishvili. Soloist Mikheil Mtsuravishvili (1998).

6. **Gamotkhoveba Dzvel Tbilistan.** Ensemble of Duduki players: Koba Papiashvili, Zaur Merebashvili, Givi Kandelaki. Soloist Mikheil Mtsuravishvili (2018).

SUMMARY

The Georgian Chant Foundation's publication series, "Merited Masters of Georgian Song", is devoted to the renowned choirmasters and singers who have been recognized by the foundation.

The purpose of this monograph is to introduce Mikheil Mtsuravishvili to the readers, an Honored Artist of Georgia, conductor, and singer, who left his mark in the performance of both Georgian rural and urban folklore and classical vocal music.

For almost six decades, Mikheil Mtsuravishvili has been promoting the Georgian song and instilling in the younger generation a love for the national heritage.

He was the soloist of the legendary Gordella. Decades have passed since then, but his work is still connected only with the Georgian song. Wherever he had access, he created the choirs, as a result, hundreds of young musicians were involved in popularization of the unique Georgian heritage.

Mikheil Mtsuravishvili's students, most of whom are now famous choirmasters, call him "the Great Maestro". His experience should be taken into account by everyone who considers Georgian folk music important, and who is engaged in educating future generations on Georgian musical traditions.

The monograph, along with biographical information, covers the history of the main ensembles in which Mikheil Mtsuravishvili worked. These are the Phirosmani quartet, the Gordela ensemble, the male choir Gori, the ensemble of Duduki players, the Sharavandi ensemble, etc.

The memories of Mikheil Mtsuravishvili as the greatest singer and an exemplary Georgian man will be interesting for the readers.

A CD is attached to the publication, on which inimitable 15 songs performed by Mikheil Mtsuravishvili are recorded.

The monograph is dedicated to the 80th anniversary of Mikheil Mtsuravishvili.